

9. 205

ივედი

1882

წელიწადი მეორე

№. № XI & XII, მოქაბარი & დეკაბარი.



თბილისი

მ. როტინიანცის და კომპ. სტამბა.

1882

ნოემბრისა და დეკემბრის წიგნის შინაარსი:

- I. გიორგი მორბედაძე და სოლომან ქურციკაშვილი . . . დაწიბ დათოშვილისა.
- II. წიპარტა (დექსი) . . . გემისა.
- III. უფლება და კანონი ძველ საქართველოში . . . ნიკო ხიზანოვისა.
- IV. * * * (დექსი) . . . ა. ფ.
- V. მცირედი რაიმე ჩვენ იმამულის-შვილობაზე (წერ. რედ.) — ნ — მ — ბ — ი — ს.
- VI. რახ ვხედავ?! (დექსი). . . გობრონ ლიხეჯისა.
- VII. შინაური საქმეების მაგისტრალ (ხაწვეტი ჩვენ ყურნალ-გასკეთესკედ) Z-სა.
- VIII. პასუხი უ. იოსებ ცხვეთაძეს დ. ბ.-სა.
- IX. კოჩრესპონ. ცხინვალისგან გზავრისა.

P. S. მომავლის 1883 წლის „იბუქში“ დაიბეჭდება ასტორაული ნოქა ჩვენის დამსახურების ლიტერატორის ა. ნ. ფურცელაძისა — სასიყვად „თამარ დაზნული“.

ი მ ე ლ ი

სალიტერატურულ და საპოლიტიკო

ჟურნალი

6095

წელიწადი მეორე

№№ XI და XII, ნოემბერი და დეკემბერი.



თბილისი

მდ. როვინიანის და კომ. სტამბა.

1882



Дозволено цензурою. Тифлиси, 17 Января 1883 г.

ზიორები მო გედაძე

70

სოლომან ჟურსიკაშვილი.

სოფლის გარეთის თავში ერთი ქვითვირის სახლი არის გაცაფრებულნი; ამ სახლს პირი კაკასიის მოყვინტეა აქვს მიქცეული და წინ დიდი გამინვლრებული ეზო უძევს. დასაწყებით ამ სახლს აქვს პატარა, მაგრამ შრავალ-გვარი ხეილით და საგრილოთი ხეებით შემოვლილი, ბაღი. სამა მხრით ეს ბაღი არის შემოზღუდული მალაღი ტყრუშული ღობით. მხალა აღმოსავლეთით ის არის შეერთებული ხსენებულ სახლთან, ისე რომ ამ სახლის დასავლეთის კედელი ბაღისიოვის აღმოსავლეთის ღობისა და სიმაგრეს შეადგენს; ამ კედელში ხსენებულს სახლს, როგორც ზევით, ესრეთვე ქვევით სართულში, აქვს დატანებული ორ-ორი მ.ა.ს.დიდი ფანჯარა. ამ ფანჯარებიდან აღმოსავლეთის კუთხამდინ სახლი არის გაფიცრული ორსავე მხრით და ორსავე სართულში; ზევით სართულშია და ქვევითშია თითო ტახტი არის შეერთებული ჩრდილოეთის კედელთან და თითო სამხრეთისასთან, ასე რომ ორსავე ტახტზე მსხდომარე სადსს შეუძლიან ერთათ ილაპარაკონ. ტახტებს შუა ისე ვიწრო ადგილია გამოშვებული. რომ ერთი გაცის მეტი ვერ დაეკება.

სსკნებზე და იანჯარებიდან სახლის პატრონები სტკებებიან ბაღშიდგან მომდინარე წიკით და მასი ხეხილისა და ყვავილების სუნსუღკანებით, ბაღის ხეებისა და ხეხილების ფოთლების შრიალით და სხვა დასხვა ხეხილის ჩაყოთ ფეკოვნებით.

აფწკრის სახლში რადისმე სცხკოვრბდნენ თავადი გიორგი მოზბუდაძე და მეუღლე მისი სოფიო მოზბუდაძისა. გიორგი იყო უჭკეკესი და უწარხინესუღკესი გვარეულობის თავადი, ტან-წკრილი, მადალ-მადალი და მშკენიეკი შესეღკელობისა. გზბილი იყო სრულს კმაყოფილებში და შემოუხეღკეკეს თავისუღკეებაში. მის არ ახსოვდა, რბმ რბმე მისი სურვილი დარჩომილიყოს. აუსრულებელი; პატარობაში ყოველისფერში მამა აკმაყოფილებდა, ამამამებდა და სიდიღკეში ყვეღკან თავისი გჭყვანდა. რადგანაც იყო დიდი შთამომავლობისა და დიდი სიმდიღკის პატრონი.

კაცზედა ჭქონდა მას სამდილი უწინღელი თავადის შესეღკეულობა. ის კარგათა სცხოზდა თავის სისხლის კაცს და მალინ არჩეკდა მას გლეხისაგან. ზიკველის შესახებ თითქმის მალად ეძებდა შემთხვეკვას, რბმ ესამოვნებინა და უკანასკნელისთვის მას არც სული ჭქონდა, არც გული. შიმშილისაგან მამაკვავი ყმის სელიდგან გამორთმეულს ლუკმას სიამოვნებით შეეძტეკდა და ერთი უზრალა გაუუთხილებელი სიტყვისთვის მზათ იყო, რბმ თავისი მოყმე მიწასთან გაესწოვებინა. ამაკე ბუნებისა და ღიწკებისა იყო მეუღლე მისი სოფიო, ასე რბმ ის იმისაგან შარტო ქალბბით განიჩხეკოდა.

მეტათ ტკბილს და საამურს სურათს წარმოადტენს ამ მეუღლეებას ცხოვრება. მათი ცხოვრება თითქმის არ წარმოადტენს არც ერთს იმისთანა შემთხვეკვას, რბმ მათ ერთმანეთისთვის რბმე უსიამოვნო ეთქვათ. თვითოეული ამათგანი თავის

სიამოვნებას მკუთლას სიამოვნებაში ჭბოკებდა. ქონება დიდი ჭქონდათ, ყმა მრავალი ჭყვანდათ, თვითონ იყვნენ ერთმანეთზე უკეთესნი და ერთმანეთის მოწონებულნი. ამისთვის ესენი ცნობარობდნენ უოკელას მხრით დაუბრკოლებლივ, ერთმანეთისა და თავიანთი მოსადეკრის ალექსში.

რასაკვირველია, ამისთანა ცნობარება გიორგის და მის სოფლის არ აძლევდათ მიზეზს და შეშთსკვას მოუფიქრნათ, საიდგან და რეგარა ჭქონდათ მეძენილი თავიანთი ქონება, ან რა სახით აასლებდნენ და აიუკებდნენ მას სხვა-და-სხვა უარემოების თანახმით. ამ გვარი კითხვების შესახებ გიორგი და სოფლო იყვნენ სრული თანახმანი შემდეგის ანდაზისა: ხილი ჭამე--მუხილეს რას კითხულა.

თუ გიორგის და მის მეზავს საცხს სშირი და ხანგრძლივი სტუმრულაობა არ აცდინათ მოუფიქრნათ, რა გზით და რადას ამენებულან ისინი. იმათ, ვისაც ერგებოდათ ხოლმე შორიდგან ცქერა და დანატერა მათის სხვა-და-სხვა გვარა დროების ტარებისა, თითქმის უნებურათ მოადროდათ სხვა-და-სხვა ფიქრები მათის ცნობარებისა და სიმადრის შესახებ.

ხე — წელს, თინათვის ათს მორბედაძეს დიდი წვეულაობა ჭქონდა; შორეული და მახლობელი მათა სისხლის კაცი, ვისაც კი ცოტა რამ კავშირი ჭქონდა მათთან, ყველანი მოწვეულნი იყვნენ მათს სასაში. სადილი მიირთვეს მათ სასაში: სადილის მიერთვეის შემდეგ მოქეიფენი გამოვიდნენ ესოში; გამართეს თამაშობა, თამაშს მოჭყვა ჩაი; ჩანს კიდევ თამაშობა; ასე რომ სადამას ათს საათამდის მორბედაძიანთ ესოში იმისთანა დროს ტარება იყო, რომ ბევრი ჩვეულებრივი ქარწილი დანატრებდა მას შნოთი და ჯაზათით.

თამაშობის გამართვის დროს, დაირისა, დიმიტრიტისა

და ტაძრის სწავლე მოიკრიბა მათ შორის ახლო მცხოვრები უბრალო საღვთისმეტყველებს დროს ტარების გათავდა და მათუკლებნი განზრუნდნენ თავი თავის სახლებისკენ, ბევრს მათგანს მოუვიდა თავში ნატკრია: რა კარგი იქნებოდა, რომ ჩვენი შეგვიძლოს ათასში ერთხელ მანტი ამ გვანად ჩვენი ტოლი საღვთისმეტყველებს და დროების გატარება: მაგრამ თვითთავად, გულმოდგინებით ვისაც კი ამიტანს ფიქრი მოსდის, მაშინვე თავაწინ უღებოდა თავისი საღვთისმეტყველები და საშინლათ ეუფუქებოდა გული.

მათუკლებთან შორის ერთი ერთი მოხუცი მნათე, მცხოვრები ახალი სოფლის მღვდელთან: ამან მოსკლის უმაღლესი აღტაცებით უამბო მღვდელს და მას სახლობას: რა მშვენიერი სახანავი იყო შორებუდადანთ სტუმრულთა და მათი დროს გატარება; ხეტა, სადა აქვთ ამოდენა შეძლება, რომ ასე სშირათ მართაშენ ამოდენა წვეულებას და უხვდებთან კიდევ ამოდენა სტუმრულთა? მღვდელმა უპასუხა: თავადებს უკვლავიერი შეუძლიანთ, ტყეუთ აქვთ საკუთრები, სახანავ-სათესი და ვენახები ბევრი, ამოდენი ყმა, რომლებსაცანაც, სხვა და-სხვა გამარჩობის გადრა, ბევრი შემოსავალი აქვთ ამ პასუხის შემდეგ ჭკითხა მღვდელს ცნობის მოყვარე მნათე: მართლა და, ხეტა, ვის, ან რითვის მიუცია, მაშა, ამ თავად აზნაურებისთვის ან ამოდენი ყმა და ან ამოდენი მამული? თავად აზნაურების განქარავედ, განკრძო მღვდელმა, ამობენ, მითომ თავადები და აზნაურები არიან შთამომავლობითნი ნათესაენი სახელმწიფო სახლისანი და ხელმწიფეს უბოძების მათთვის შესაფერ საცხოვრებლათ ყმადა და მამულიც.

კიდევ ამობენ სხვანი, დაუმატა მღვდელმა, მითომც

ესლანდელნი თაკადნი და აზნაურნი არიან იმისთანა პირნი ანუ იმისთანა პირთა შთამომავალნი, რომელთაც ცოტათი თუ ბევრით რითიმე თავი გამოუჩენათ ხელმოწიფის თვალწინ სხვაზე უკეთესათ — ანუ ომის დროს სიმამაცით, ანუ უფრო გულთაღის აღსრულებით სახელმოწიფის ბრძანებისა, რომლისათვისაც ხელმოწიფეს მოწყალებად უბოძებია მათთვის ყმაცა და მამულიც.

მთელს ევროპაში გადაგდებულა, შვილთა, ესლა ბატონუმობა და ჩვენშიაც ისმის — აპირობენ მის მოსპობასა, დაახლოლავა მღვდელმა.

დადს სიკეთეს კი იქმს დადოკვილი ჩვენი ხელმოწიფე, განაგრძო მნათემ, მართლაც რომ ინებოს ეგ საქმე და გადაადგოს ჩვენში ბატონუმობა; ვინ იცის, რამეთუნი კაცი ამოისუნთქავს მაშინ თავისუფლათ, რამეთუნი კაცის მამული შეიმატებს ერთი ორათი შემუშავებს და მასაკვალს; რამეთუნი კაცი დადოკვივს ამისთვის ჩვენი ხელმოწიფის სახელსა და მის მართვას!

თუ ამისთანა აფიქრები და სიტყვები წარმართებულებიან მოწმედანთ წვეულებამ მღვდელს და მნათეს, რომელთაც პირდაპირ არაიყრი ჩაგრვა და უსამართლობა მოაგონდებოდათ გიორგი მორბედაძისა და მისი სისხლის საღვინისაგან, საიქიქებულა, რომ ესევე წვეულობა ბევრს რასმე აფიქრებინებდათ და ათქმევინებდათ იმათაც ამ სტუმრეულობის მყოფრებულთაგანს, რომელთაც ჯაფისა და ოფლის ნყოფი ბევრი რამ კრია ამ სტუმრეულობის წინ გაშლილ საჭმელ-სასმელში. აი რა უამოერთმა ამავე სტუმრეულობის მყოფრებულთაგანმა დედა-კაცმა სალომემ თავის მიწვევრიდგან მოსუფს, დაღლილ-დაქანცულს ვაჟს სოლომანს: ნეტავი შე, — შენ მთელი დღე დაუსვენრათ იმუშაო სახლს გარეთ, შე ცხვირის-წვერზედ კიტრიალო ჩემს გარემე-

მოში ლუკმა ჰერის საშოვნელათა და გასაწყვეტ მორბედაძიანთ
გი იხარონ და ილადონ . . . ღმერთო! რა-
ტომ ან დედა-მამა არ ჩინებოდა და არ ჩაიტანს მაგ გასაწყ-
ვეტო, ან რატომ ციდამ ცერხლი არ ჩამოვარდება და არ და-
ნოქამს მაგათ ჯიშსა და გვარს! დღეს რომ მაგათი სტუმრეუ-
ლობა და ჩარბუნანა ესხას უცხო კაცს, ის უეჭველად დაივიწყებდა,
რადენსამე სანს მანც, ყოველს ჯავრს და მიეტემადა მხიარუ-
ლებას, მაგრამ რა უნდა გვიგონო ჩვენ, როდესაც ვეხვიებით და
უცხოებოვით შუკსცქეროდით მოკიდამ... ერთი დედა-კაცი არ იყო
იქ, შვილო, იმათ მოუშეთაგანი, რომ არ დაეზივლეს, ამ გასაწყვე-
ტი სტუმრებისთვის მე ბატი წამართვეს, მე ინდოური, მე ქა-
თაძი, მე ლინო ანუ უკვერცხლო და სხვ.; ჩვენც სომ მაგავე გა-
საწყვეტთათვის ხუთი ქათამი ერთათ წაგვართვეს გუშინ; სხვა-
და სხვა ოცნებისა არ იყო, ნეტა, როდემდის უნდა ითმინოს
ადამიანმა ამოდენი . . .

სალომეს სახლი და კარი უფრო მეტათ იყო შეწუხებული
და დახატული გიორგი მორბედაძისაგან, მინამ სხვა ვიებისა და
აძისთვის ღაზარკობდა ეს ასე ბრაზიანათ; სალომეს ვაჟსაც ში-
რველათ არ ეუთუებოდა ამისთანა სასივარო და წვევლა ქოლვბ
დედისა გიორგი მორბედაძესე; ეს ამავი, რაზედაც სალომე
ჯავრობდა ესლა, იოტაჲც არ შეადგენდა იმ ოცნებთან, რა ოცი
ნების მოემოქმედნა გიორგი მორბედაძეს სალომეს სახლ კაცისა
და ქმარ-შვილის შესახებ.

სალომანი თავ-შესწავლილი იყო, გიორგი მორბედაძემ
რომ მისა მამა ბოძზე მიაკერეინა, უარე რათ მითხარ სამ ქვა
მარაღზე, რომლებიც შინ გილაგიაო; ჯერ სახრის ცემით და-

ლურჯა, შემდეგ გამოატანინა მარლის ქვები ქურციკაშვილის სახლიდგან და თავის სახლში წააღებსა ბიჭებს და ისე ააშუებინა ქურციკაშვილი; კარგათ ახსოვდა სოლომანს, რომ იმისი მამა ამ ცემისაგან ისე გახდა ავით, რომ სამი-ოთხი დღე ქვეშაგებში აწკა; არც ისა ჭქონდა დაუწიებელი სოლომანს, რომ გიორგი მარბედაქმ მისი ძმა რაღაც გაჯაჭრებულ დ თავდაუიწა ჩამააკიდებინა სეზე და ასე დაანარჩუნა თითქმის მთელი დღე; ახსოვდა, რომ ღიმიტრი ამ ჩამოკიდებულზე გაკიუდა და ჩამოდენიმე წლის შემდეგ ამავე სიგითში მოკვდა. ერთი სიტყვით, კაცი ვერ მოსთვლის, რაც გიორგი მარბედაქმ სოლომან ქურციკაშვილის მამა-ძმისა და საზოგადოთ სასლუქულობისთვის ვაი-ვაკლახნი გადაუხდებინა; ნამეტანი ამ ვაისა და კაკლახნისა სოლომანის დრას იყვნენ მომხდარნი და ისე ახსოვდა სოლომანს ესენი, რომ კაცს ეკონებოდა, როცა სოლომანი ამებს მოიკონებდა, სედის გულზედ უწერია და ისე კითხულობსო.

ამ ვაი-ვაკლახნის გამო, ისე ჭეჟანდა სოლომანს შემუჯებული თავის შუბატანე, ისე ეწიზლებოდა მისი სასული და გვარი, რომ ვინც კი იმის წინ ან ავს, ან კარცს იტყოდა რასმე იმის ბატონას შესახებ, გახურებულს ღანაჩავეშიაღ რომ ყოფილიყო, მანვე ხმას გასწიკტავდა, საშინელი სიუკითლას იქერი გადაჭკრაგდა სოლომე, გაბრუნდებოდა და წაჰიდოდა საითმე.

ამ ოინების მნახვადს და მომთქნს სოლომანს დედის უკანასკნელმა საჩაკარმა ხუთი ქათმას წარმოქვასედ, უოკელიკე გავლილი ვაი-ვაკლახნა უფრო გაუცხოვედა; ამას ბრახი მოაწვა გულზედ, თითქმის კანკალი დაიწყო, საშინლათ მოაჭრუშა შუბლი, პირი მოკუჭა, ტუჩები და კბილები მოუჭირა, გაბრუნდა და, თითქმის მთელი ტანის თრთოლით, ხმა ამოუღებლივ გაკიდა გარეთ.

ამ ამბავს სრულებითაც არ მიუხსენივია მოწოდებამდის; კიდევ რომ მაქნია მოწოდებამდის რაიმე ხმას სოლომონისა და იმის დედის ვაჟობასზე, რა იქნებოდა? მოწოდებამდე ანაჲე უურსაც არ გაიბერტყა; განა ამისთანა წყევლა და ქაფვა შეუტყვიო თავის-თავზედ თავისი უმეხასა, რომ მოწოდებამდე ამის-თვის თავის ცხოვრებას კვადი არ შეუწყდა? და ან რა უურად-ღების ღირსი გამწინდებოდა ხსენებულთ პირთ ვაჟობას? ისინი იყვნენ უმეხა და ბატონი, რომელს სურდა, ისე ექცეოდა მათ. თუ რა გიორგი მოწოდებამდე უფლებას ჰქონდა, რომელსაც ჰსურდა, ისე მოხერხებოდა ხსენებულთ პირთ და მათს სახელუფლობას, მაგრამ სოლომონის უკანასკნელის განაწილების დღიდან დაიწყო შინაღება რაღაც მესამე და მედგარმა გიორგი მოწოდებამდის თავზედ გასახეთქათ.

ღვირვებისთვის თორმეტს ღრუბლიანი და ქარიანი დღე დადგა; საღამოს ხანზე გაკეთის და მისი აკემარეს მიჯარველი ღრუბლები მეტისმეტათ აირივნენ; რამეთუც საღამოს ბინდმა მოაწია, იმთენი ქარიშხალმა იმატა; ამ ქარიშხალს მოჰყვა ტექა-ქუხილი და საღამო ხანზედ იმისთანა რავი ღრუბლები შეიკრიბნენ ცაში მოწოდებამდის სახლის პირდაპირ, რომ ვაცის უნებლად აფიქრებინებდნენ — ესენი რაიმე უბედურობას უქადიან ამ სახლსა და მის პატრონსა; სძირ ბინდმა მოაწია, ქარიშხალმა და ტექა-ქუხალმა თან-და თან მოიმატა, თუმცა წვიმა კი არსად იყო.

ამ ტექა-ქუხილის დროს გეორგი და სოფიო (გიორგის ცოლი) იყვნენ ჩვეულებრივს განცხრომაში და ერთმანეთის აღუ-რისში; ისინი იყვნენ მიუდგომელი ჯვამნი, წარჩინებულის ჩამო-მავლობისანი. გამთუფრდელი ამ სოფლის მუხანათობაში; იმათ თავიანთის და მამა-პაპის ცხოვრებიდან იცოდნენ, რომ ყოვე-

ლიკე ამ სოფლის მოღალატეობა, მოულოდნელობა, სიამოვნების გამწარება და ამ გვარი უსიამოვნო მოკვლევანი არიან გაჩენილნი სხვისთვის და არა მათთვის და მათ მსგავსათვის. ამისთვის მათ, მთვრალებს ერთმანეთის აღეკნო, სრულებით არ მიუქცევიათ ერთადლება არც იმ შავი ღრუბლებისთვის, რომლებიც მათს სასლ-გარს დასტრიალებდნენ, არც იმ ქარიშხლისთვის, რომელიც თითქმის ჰკლავდა მათის ბაღის ხეხილებს და არც იმ ჭექა ქუხილისთვის, რომელიც ასე საშინლათ დაგრკვინავდა მათს სასლ-გარს.

რისაგვირგვლია, მათ ვერცხვე ვერ შენიშნეს ის სასლგაზდა, რომელიც შეეღა ღამეში, ჭექა-ქუხილის დროს, მსარზე თოვგადადებულნი, თხრილის თვალეკებით, შეიპარა იმათ უსიამო, შევიდა შემოთ აღწერილს ბაღისში და უპირდაპირდებოდა იმ ქვევით საერთოდის ფანჯარას, რომელიც ჰქონდა აღწერილს სახლს დატანებულნი დასავლეთის კედელში, ბაღისში საყურებლათ და იქაური სუბნელოვანების სასლში შემოსაშეკვით.

ამ საღამოს, რომ ღამეც ხეიანი შოთხრობის ამბავი ხდებოდა, ხსენებულნი მეუღლენი ისხდნენ აღწერილი სახლის ქვემოთ საერთოდში თანეკრებთან: ქმარი სამხრეთისა და ცოლი ჩრდილოეთის ტასტზედ; ქმარს ეგონა კალთაში ორი წლის ბუნჩულა ბავშვი; მამა ზევიდვას, ღედა გვერდიდვას შეჭხაროდნენ მათს მშვენიერს მთართალოვანეს და მტრის თვალისთვისაც საამურს ბავშვს; მშობელნი დაჭხაროდნენ თავიანთ ვაჟს და წინასწარმეტყველებდნენ მის ვითომ ბედნიერს მომავალზედ; მაგრამ რა იცოდნენ საწყალოთ მშობელთა ან ბავშვის ბედისა და უბედურებისა და ან მისი დღე-გრძელობისა და დღე-მოკლეობისა; ოჰ, ნეტა რას იზამდენ, როგორმე რომ ვაეკლვა ამ აღეკნის დროს მათს თავში იმ ბედს, რომელიც მოკლავდა მათს ყმაწვილს ხუ-

თიოდე წუთის განმავლობაში? ვინ გამოხატავს იმ გრძნობას, რა გრძნობითაც ისინი შეკედლებდნენ ღმერთს, რამ აქცილებინა მათთვის ის ცუცხელი, რამქელიც შეუღლდათ; იქნება ვისმე მტკრთავანსაც რომ დასწახს ეს სურათი, რომლებსაც წარმოადგენდნენ ერთის მხრით მშვენიერი პორტიეტივე ბავშვი და სიყვარულით მოაღვრეს და დედ-მამა და მეორეს მხრით მისი (საგმივისა) ნიშანში ამომღები კაცი, წმინდის გულით ეხატება ამ კაცის ბრწყინვალე განზრახვების ანსრულებლობა.

თითონ ის ახალ-გაზდა, რამქელიც შესდგომოდა შემადრწუნებელის ბრწყინვალე განზრახვების ასრულებას, ან იყო უგულო კაცი: თითონ იმას გულით უყვარდა უმადილები და სიამოვნებას გრძნობდა, როდესაც ხედავდა სადმე მოხუცი მათ უმადილთა მოაღვრეს; ამისთვის მას, როდესაც ის დაუბრუნდებოდა თავის მიხვედრებს, ცხადათ უდგებოდა თვალ-წინ ის ცუცხელი, რამქლის მაყვებლასაც უბრუნებდა გიორგის და მის მეუღლეს; ამისათვისვე ის კარგა ხანი იყო ღუფაში და გრძნობრივ ბრძოლაში იმის თანახმად, აასრულეს თავისი განზრახვება, თუ არა; მაგრამ, რამქელიც დაიწკვდა უკან თავის ფიქრის აღსრულებიდან, იმთენი თვალ-წინ უდგებოდა ის სიმწარეები და უსამართლობები, რამქელსაც მოუყვანათ იგი ამ დროს გიორგის ბაღში; რამთენიც დაბრუნებდა უკან გაბრუნებას, იმთენი ახლათ ეძლეოდა თავში ფიქრები შეუწრთებისა და დაზარალებულ, რამქელიც მეტათ ბევრი მოყომინათ მას და მის სანდოელობას მათის ბატონის გიორგი მოხუცადმისაგან.

ამ უკანასკნელმა ფიქრებმა დასძლიეს ხსენებული ახალ-გაზდის დათმობის და მოთმინების გრძნობა; ჯავრის ამოყრის გრძნობამ დასძლია იმავე ახალ-გაზდაში კაცთ-მოყვარეობის გრძნობა; გავარდა თოფი, გაშეშდა ბავშვი, მამას დაეღო ნაც-

რის ფერს და დედა გადიჭა გულ-აღმა ტახტზედ, თოფიღვან გამოკარდნიდი ტყეის მოხვდა კალთაზე მწოლიარე ხავეის თაგში, თაგი გახვრიტა, ეტა უმაწვილის მამას მუტეღში და შიგ დაჩხა.

თოფის ხმაზედ და მამის ძახილზედ შეტვიფდნენ სახლში მებატონეს გოგო-ბიჭები და ძმრათა და წყლით მოასუფიერეს გულ-შედანბუფი სოფიო. მაგრამ რა. იყო იმის მოსუფიერება? წამოკვდომის უმაღ, რომ დახედა მკვდარს და სასხეიანს უმაწვილს და ამასთანავე დაჭრილს ქმარს, ისევე გული წაუვიდა და გადაეშო ხელმეორეთ ტახტზედ; ბეგრის წივილ-კივილის შეიღეო, თუშტა მოასუფიერეს სოფიო, მაგრამ მანინ ფეხზედ კედარ წამოდგა: იმ ღამეს აკად განდა ელდისა და ბორცოცისა-გან და კარგა ხნობით ლოგინათ დაჯდა.

იმ დროს, როდესაც შორბუდამის სახლში ეს აღიქათი იდგა, ჩვენი ნაწნობი საღამო გულ-ხელ-დაკრეიფილი იჯდა სახლის კარებში და შიშით, გულის თრთოლით მოელოდა ჩვენსა-ვე ნაწნობს შეიღეს სოლომანს. იმ დღისავე დღით, რა დღესაც შორბუდამეს თოფი ესროლეს, სოლომანმა ჩაიგვა წინ დღით ამოსხმული ქაღმნები. გამოართო დედას საკაიდლოთ შენახული წინდა-ზაჭიჭი, ჩაიგო ესენი ფეხზედ, ახალი ახალუნი ახალივე ჩობით ტანზედ, გააწეო ქამარ-ხანჯალი, გადიგდო მხარზედ სამასრე და თოფი და გასწია ტყისკენ. დედას უთხრა: მე ტყეში წავაჯ სასადიროთ, თუ მოკვალა რამე, იქნება სადაღათ შინვე მოვიდე და, თუ ვერა, იქნება დამიგვანდესო. სადილობამაც კიარა, საღამომაც, კარგა ღამეც მიდიოდა და სოლომანი კი არსადა ჩანდა; რამთენიც ღამე მიდიოდა, იმთენი საღამომეს სხვა-და სხვა საშიშარი ფიქრები აწვიბოდნენ. ეხლა მიაქცია საღამომეშ შესაფერი ყურადღება იმ გაკვირებას, რომ იმის

შვილი იმ დღეს უკან, რა დღესაც შესჩივლავ ხუთი ქათმის წართიქვას, მეტის - მეტად დათვიქრებული შეიქმნა: ესლა მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება იმ გარემოებას, რომ ხსენებულს დღეს უკან მას თავისი შვილი აღარ ენახა ცაცინებული; ესლა დაიწყო საღამომ იწახუდაც ივიქრი, თუ რა საჭირო იყო, რომ ნადირობასზე წასასვლელათ სოფლომანს ახალი წინდა-პაჭიჭი და ტანისამოსი ან ჩაქრო.

ამ დღეგანა და ივიქრებისაგან გატაცებულს დედა-გაცთან მოიწინა ერთმა გიორგი მორბედაძის მოახლეთაგანმა და უთხრა, ჩვენს სატანს თოფი ესროლეს იფანჯრიდან. მამა დასჭრეს, შვილი კალთაში მოუღეს და ქაღალტანში შიშისა და ბოროტისაგან აკათ ვახდა. ამ ამბავმა ერთობ გუფს შემოჭყარს საღამოს და დაწყებისა ტირილი შვილსუდ. რასაკვირველია, როგორც ამ ტირილსუდ, ისე იმ ხმაზედ, რა ხმაზე საღამოსთან მოხუღმა მორბედაძის მოახლემ მოჭვიინა, საღამოს ბევრი საღისი შემოუხვია. ტირილი ყველას ესმოდა, და თითქმის ყველას ატირებდა მისი ტირილი, მაგრამ ის კი ვერავის გაეგო იმის ტირილიდგან, დაწმუხებული იყო საღამო, რომ მას შვილს ესროლა მორბედაძისთვის თოფი და იმის საშიშარი შედეგი ატირებდა, თუ ივიქრობდა ვინმე მაწანწალა ავასავამ ესროლა თოფი მორბედაძეს და ეშინოდა ეს ავასავი მის შვილსაც ან შეჭყროდა უდროვოთ ცხახუდ და ან მოეკლას.

დიდმა ხანმა გაიარა ამ ტირილისა და მორბედაძის შესწმუნებას შემდეგ, რომ ზედმიწევნით ვერავინ შეიტყო — ვინ იყო მორბედაძის თოფის მსროლელი; ამასთანავე გაუგებარი დარჩნა, რა იქნა თითონ საღამოს შვილი სოფლომანი ანუ რა შეემთხვა მას. სამდვილი ცნობები მასზედ. თუ ვინ ესროლა თოფი მორბედაძეს

და რა იქნა სალომეს შვილი სოლომანი, მოჭოფინა სოფელს გარეთში ერთმა შემთხვევამ.

დიდი ხნის შემდეგ მოაზრებადისთვის თოფის სროლისა, მანიაზისთვის თუთსმეტს, გარეთას მეძროხეებმა სადამო ხან-ზედ კალას ხარი გაჩეკეს მინდორზედ მზე ჩასვლასე იყო, რომ ამ მეძროხეებს დაეცნენ ტყეში ძავალი ლეკები; მეძროხეები კარგა მოშორებულნი იყვნენ ტყეზედ. მოკიდებენვე ქვასწრეს თვალი ტყეიდან გამოცვივებულ ლეკებს და ცაიჭდნენ. ერთს მათგანს მანც დაეწივნის ლეკი დაიჭრეს, ამოღებული ხანჯლის ქნევით გადაკმენდინეს ხმა და შეატარეს ჭკლას; დანარჩენმა მეძროხეებმა მსწრაფლად შეატეობინეს სოფელს და დაიძახეს მღევარი. საუბედურათ, ხსენებულს დღეს გარეთის ნამეტანი მამახალხი სამკალათ იყო მინდორში გასული; ისინიც, ვინც მან იყვნენ. კალასედ ტრიალისგან დახურებულნი, ერთობ მიშველნა იყვნენ, ჰერასტების ინაზარა: მანც-და-მანც დაიბარეს მინდორიდანც ხალხი, მანაურებმა ჩაიციეს, შეიარაღდნენ და გასწიეს ტყესკენ უფრო გამბედავი და ტყის მცოდნე ზირების წინამძღოლადობით.

ხშირი ბინდი იყო, რომ მღევარი იმ ადგილას მივიდა, სადა მეძროხე დაიჭირეს: მღევარმა მთელი ღამე იარა, სადამდინარე ფენი მიუწვდებოდა და საითაც უფრო იმედი ჰქონდათ ლეკების შესვლადისა. მაგრამ ყოველმა ძებნამ უშვით ჩაიარა; ლეკებმა იმისთანა ტყის და გზებზედ გაატარეს თავიანთი ტყე, რომ ვერც მღევარი და ვერც არა ვინ სხვა ვერ შესვდა მათ.

ლეკებმა მშვიდობით გადაიყვანეს ტყე სალეკობი. იქ ორიოდ დღე კი დაწყებულადი ჰყავდათ ის და მერმე კი მისცეს ნება იმ სოფელში სიარულისა, რომელშიაც ის მიიყვანეს.

იმ ლეკის მკვლელათ, რომელთანაც გარეთელი ტყვე დახანჩბუნეს, ერთი თითქმის ორი თვის ავით-მყოფი კაცი სცხოვრობდა; ამ კაცსა ჭკვანდა ცოლი, სასჯ-გარეც და მიწა-მამულებიც ჭკონდა; ეს კაცი თუმცა დასურტებული იყო ავით-მყოფობისგან, მაგრამ დახანჩბი სასოგადოთ არ კსარებოდა და უკვლად ამინთან ხომ კიდევ სსამოქნე ოდას კხოსა და მესობლებში სთარულის დროს ეარ თელ ტყვეს მეომოხვამ ამ ავით-მყოფთანაც შესუდა. ავით-მყოფმა ცხობასპოყარობით დაწყო მას გათხვას: ევანგრება თუ აჩა სალეკოში ეოქნა, რეგორ მოუხდა, რომ ის ლეკებში დაიჭირეს და შემოიყვანეს, რა მისისა, რა სოფლისა და რა გვარის კაცის შვილია და სხ. ამ დახანჩბის დროს იმან უთხრა, რომ იგი არის კახელი, თ—ს მახრისა, სოფლის გარეთის მცხოვრება, ბ—თ ბიჭი და უმა თავადა მობრებდისა. ავით-მყოფმა რომ გაიგონა გარეთის სახელი, გულისხმ იამს და პირის სახესკად სიმხინარულის ფერმა გადაჭკა; ამ სიმხინარულის გავლენათ ავით-მყოფმა რამთენშე სიტყვასუდ დახანჩბის კილოც შესცვალა. ტყვემ, რადგანაც იგი სრულა თავისუფლებით ვერ უეუტებდა თავის მოსახუბრეს, ვერ შენიშნა ვერც ფერის შეცვლა მოდახანჩბის სახესუდ და ვერც მისი დახანჩბის კილოს შეცვლა. როდესაც ავით-მყოფმა გაიგონა ტყვეს გვარი, ჭკითხვას აბა თქვენი რაშთენიშე მესობდის გვარი ჩამოშითვალეო; ტყვემ რომ მესობლები ჩამოუთვალა, სხვათა შორის, ახსენა ქურციკანიც; ავით-მყოფმა ჭკითხა — დახლევებით იცნობ ქურციკანთ, თუ ისინი შორეულნი მესობლები არიან თქვენიო; ტყვემ მიუგო — დახლევებით რეგორ არ გიცნობ, ვანი ვარს გვიბიანო. შემდეგ ამისა ავით-მყოფმა უთხრა, მე ბევრი რამ გამოიგონია ქურციკანთსუდ და აბა ერთი შენც მიამბე, ვინ შეადგენენ ქვლად იმათ გვარეულობას და ან რეგორა სცხოვრობენ ქვლად

ისინაო. — ქურციკანთ გვარის ესა ლარც არავინ ვია, უზა-
სრესა ტყეკმ; იმათა გვარეულთა ესა დამოკიდებულთა ერთს
თითქმის ასი წლის დედა-კაცხედ. ამ დედა კაცხედ ამბობენო,
განაგრობო ტყეკმ, ერთი იმის შვილი თაქდაუირო დაჭკიდა ბა-
ტონმა შთელი დღე, ის შვილი ამასუდ გაგიუდა და მოკვდაო;
მეორე შვილიცა და ქმარც მეტათ დიდ მეწესესაში ჭყოლიათ
ბატონებსაო. ამასთანავე ამბობენ, დაუმატა ტყეკმ, ვითომ ქე-
რივის მეორე შვილს, ფანჯარიდგან თოფი ესროლეს თავის
ბატონის კალთაში მწოდინარე შვილისთვის, შვილი მოკვდას
ასმა დაეჭრას და თითონ სადღაცა გადავარდნილიყოს.

ამის შემდეგ ავით-მეორეი სრულებით გაუტყდა ტყეკს და
უამბო:

ქურციკანთ თითქმის ასი წლის ბებრის სალამეს შვილი,
ბატონის მომკვლელი და სადღაც გადაკარგული, მე ვარ: მე
ვარ, ძმაო, სალამეს მეორე შვილი და სახელათ შქვიან სო-
ლომანი; სრულებით მართალია, ძმაო, რაც ხმები ყოფილა გა-
რეთში ჩემსედ მოიყენილი, მე ვატი მოკვალ და, რასაკვირვე-
ლია, აღარ მედგომილესოდა ჩემს ქვეყანაში. გადამოკვარდი ამ
ქვეყანაში, შევირაცხე აქურ სანოკადოებსაში და დავიწყე აქ
ცხოვრება. მე რისდათ მასსოკეს ყოველი, რამაც გამოამიყვანა
მოთმინებიდგან, დამალუბვისა უმანკო ბავშვი და ჩემი თავი; მა-
გრამ ესრეთვე ცხადათ ვჭკრძნობ, რომ, თუ ვაცს მძიმე ცოდვა
ჩაუდენია, რაც ვინდ დიდი საბუთი ჭქონდეს შენოდებისა, სრუ-
ლებით შეუძლებელი ყოფილა მისი გულიდგან ამოფხვრა და
სინიდისის დამშვიდება; ესლაც, როდესაც ჩვენს სარწმუნოებას
თავი დავანებე და თათრის რჯული მავიდე, მეტათ მეშინიან,
არ ვიცი რა მომკვლის საიქოეს ან ბატონის შვილის სიკვდი-

ლისათვის და ან საწმუნოების გამოცვლისათვის. თითონ ჩვენი მიწა წყლის დაკარგვის ბოროტიც ხსენებდა არ გამქარებია, თუმცა აქ ბევრით თავისუფლათ და უჩაქლებათ ვსცხოვრობ, მანამ ჩემ სამშობლოში, ჩემი ბატონის ხელში; რამთენიც ვხუცდები, იმთენი უფრო და უფრო ძლიერდება და ახლდება ჩემს გულში ჩემი სამშობლოს მიწა-წყლის სიყვარული; ესაა რომ ავით კარ და სიკვდილის მოახლოებას კვძნობ, სასიკვდილეთ ვი არ მენახება თავი, ის მენახება, რომ დავიკარგე ჩემი მიწა-წყლიდგან: მე ის მენახება რომ ჩემი ძვალი და ხორცი იქ არ დამიწდესიან, საცა ჩემი საკვარეულოს სასაილავაა. რასაც კვძნობ ესაა, ჩემის აქ მოსვლის შემდეგ, ამის ნასამედიც რომ მეფიქრნა იმას წინ, მანამ ბატონისაგან გაბრუნებული ჩავიდენდი ჩემს დამღუპავს საქმეს, ჩემს სიკვდილზედ უფრო მალე გაკვდებადი თანახმა, მანამ უმანგო ბავშვისთვის თოფის სროლაზედ. მაგრამ ყოველივე ეს რაღა დროსია? მე არა მაქვს, შეილა, იმედი, რომ მოვრჩე და, თუ თავისხნან აქედგან, შინ-რომ მიხვიდე, სთხოვე, როგორც საწყალ დედა-ჩემს, ესრეთვე ყველას, ვინც ვი იყოს ჩემი მცნობთაგანი, ილატონ, რომ აკება საიქილას მაინც პირ-ნათლათ შევეუარო იმათ, ვისაც აქ თითქმის უნებლიეთ გამოვესალმე ანუ დაუუცხოვდი მიწა-წყლისა და საწმუნოების გამოცვლით. ეს ავით-მყოფი მართლაც აღარ ედიხსა ღოგინიდგან ადგომას; ტყვე დაიხსნეს მშობლებმა და მან მოჭიფინა სოფელს გარეთში ნამდვილი ცნობები მორბედაძისთვის თოფის სროლაზედ და სოლომან ქურციკაშვილზედ.

დავით დათოშვილი.

წ ა ი კ ა რ ტ ი .

რით ანა ვარ მე მწერალი?
ვარგათ ვიცი ანა-ბანა,
თუმც ჭკვასედ ვარ ცოტად მწერალი,
მაგრამ მიძლის მე ეს განა?

სულაც არა, თქვენმა მტემმა! —
მე რომ ასეთი არ ვიყავ,
ხომ იხნა ჩემსედ მტერმა,
სიტყვასედ შეაზედ გამიყავ?!
—

ღიადაც რომ მწერალი ვარ!
ან ვი რატომ არ ვიქნები?
მწერლებთან ხშირად დაედივარ,
მიუვარს ჩემი მუშობლები.

რას მიქვან მომავალი,
ანუ რა მიმართულება?!
ფულასკენ მიჭირავს თქალი,
ესწერ, რაც ვი სხვას იამება.

ჭიცი სამშობლოს უვილობით
არის ბევრი გამჭვალული,
გავიმჭვალე მეც ამ გრძნობით
და მოვიტე მათი გული.

მამულისა სიყვარულსუდ
 შეც დავიწყე ღაღადება.
 წინ წაკდები ამით სხვასედ,
 ვიგემე კეთილ-ცხროვება.

მიტყე-მოტყე სოფელსათ,
 ამობს ანდასა ქართული,
 ტიელსა და ასეჩსათ, —
 მივეე მოვეე — გვოვე იგული.

სოგიერთი ჩემი შოძმე,
 ჩემსუდ განვითარებული,
 შიმშილითა კვდება სადმე,
 ანც კი იცის, რა ანს იგული.

მწერლობასაც ტაკტი უნდა —
 ეს ბეჭდს ვერ ან გაუგია, —
 მწერალი ვარ, რე თქმა უნდა,
 რაკი მე ეს შემოგნია.

მიტომც დავალ ცხვირ ამსუკვით
 ანც თუ ვისიმე მტცხვენინან,
 რამ ჩემის კარგის თვისებით,
 ანალ მწერალს მქძინან.

უფლება და კანონი ძველ საქართველოში

წარსულს წელიწადს ჩვენმა მწერლობამ აღძრა სჯა და ბაასი საზოგადოებრივ განწყობილობაზედ ძველ საქართველოში. ვინც კი ჯეროვანი უურადლებით აკვირდებოდა ამ მაღალ მნიშვნელოვანს სჯასს, იმისთვის ცხადი იყო ერთი მოკვლენა ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნებისა, სახელდობრ ისა, რომ ჩვენი მწერლობის ასპარეზზე დაუმაღაჲად გამოვიდნენ წარმომადგენლები ორთ სხვა-და-სხვა გვარის მიმართულებისა, ლიტერატურული პარტიისა. როგორც ესთქვით, ლიტერატურული ბრძოლის სჯასს შეადგენდა საზოგადოდ ცხოვრების განწყობილობა ძველ საქართველოში, ხალხის ურთიერთობა ერთნი, სხვათა - შორის, ამტკიცებდნენ, რომ ჩვენც (ქართველები) ვიყავით რაიმე ძველ დროს . . . მეორენი — სულ სხვა თვალთ უცქეროდნენ ჩვენს წარსულს და სასოებას ჰქოვებდნენ შემდეგში... ჩვენ აქ არ შეეუდგებით საფუძვლების განხილვას ერთის და მეორის მიმართულებისას, ჩვენ მხოლოდ ერთს საზოგადო საუკუადურს ვუძღვნით ბრძოლის მოთავე პირთა: მათ არ ინებს სჯა ჯეროვან, ღირსეულ ნიადაგზე დევეენებინათ. როდესაც მწერლობაში განადგებულია ბაასი წარსული ცხოვრების უფთოებრობაზედ, მაშინ საჭიროა დაწერილი საბუთები, ხალხის უფლება და კანონი. არც ერთმა მებრძოლემ ვინმე არ იტკირთა უფულების და კანონის“ განხილვა, მათზე

დამყარება დედა-აზრისა. აი რისათვის თვით ბრძოლას მიეცა უფრო დიალექტიური ხასიათი და საგანი ვერ განიმარტა, ვერ გამოირკვა. მკითხველმა რომ ცილი არ შემწამოს, აქ შე შე- შეძლო მრავალი მაგალითების მოყვანა, მაგრამ ერთიც საკმაო იქნება ვუჩვენო, სახელდობრ ისა, რომ ვითომც ჩვენი ხალხის სიკეთე ძველ დროში „მდგომარეობდა იმაში, რომ დამხატვრელს უფლეს მონობისას მოკლებული იყო და სარგებლობდა იმისთანა განწყობილობით წოდებათა შორის, რომელიც ხალხს ამხნეობდა და ადვილად ატანინებდა გარეგან გაჭირვებათა“ (ივერიათ 1881 წ. № VIII, გვ. 66). ჩვენ მწერლებს სულში რომ აქლათ თუნდა მარტო კასტანგის სამართალი და თავადი გადაკლათ მისთვის, მაშინ სრულიად უარყოფდნენ იმ საოცრად იურიდიკულ მარადოქსს, რომელიც ამბობს — გლეხის და თავადის შორის მარტო ის განსხვავება იყო, რომ თავადი ბრწყინვალეობით იხსენიებოდა, მაგრამ იმათ სამართლის განხილვა არ ინებეს და წინათვე დიალექტიკას დაადგენ. ჩვენი უფლება და კანონი ცხადად გვიჩვენებენ, რომ საქართველოს წარსული ცხოვრება აშენებული იყო წოდებრივ სხვა-და-სხვაობაზე და უფრო ჰეგელაურით განიჩეგოდა თავადისაგან და სხვა წოდების წარმომადგენლისაგან. განსხვავება დაწერილი იყო არა-თუ მარტო კანონში, არამედ ცხოვრების სინამდვილე ამ განსხვავებას უჩვენებდა, ამტკიცებდა. ძველს ჩვენ სახელმწიფოში ვხედავთ ისეთივე მოკლენას, როგორც სხვა ხალხის ცხოვრებაში, სახელდობრ იმ მოკლენას, რომ შთელი ჩვენი სახელმწიფო განწყობილობა აშენებული იყო საზოგადოებრივ სხვა-და-სხვაობაზე. როდის განხორციელდა ეს სხვა-და-სხვაობა, წოდებრივი განსხვავება? მაშინ, როდესაც საქართველოს ხალხმა შექმნა ის გაშიერი ანუ ძალა, რომელსაც სახელმწიფოს უწოდებენ. ჩვენში

სახელმწიფოს დაარსებას დიდი დრო მოუწდა, მაგრამ ქართველ-
 შა ხალხმა თავის გულტურული ძალით დაამყარა ბოლო დროს
 წესიერად განწყობილი სახელმწიფო და უჩვენა ყველას, რომ ეს
 მუჭა-ხალხი დიანია ისტორიული ხალხის სახელისა. სახელმწი-
 ფოს დაარსება იყო ხალხის ცხოვრების ნაყოფი, მისი სულიე-
 რი ძალის შედეგი. თარნავაზმა განახორციელა მხოლოდ ის,
 რასაც ელვტოდა თვით ხალხი, რაც შეიმუშავა თვით ხალხის
 ცხოვრებამ. ტყვილად ჰგონია „ქართლის ცხოვრებას“, ვითომც
 თარნავაზმა სრულიად და ყველაფერში მიჭბაძა სპარსეთს, ჩვენს
 ნიადაგზედ გადმოვრგო სპარსეთის სახელმწიფო განწყობილთა
 („ესრეთ განწყეს ესე ყოველი თარნავაზ, მიმსგავსებულათ სა-
 მეფოსა სპარსთასა“, „ქართლის ცხოვრება“, ნაწილი პირველი,
 გვ. 32). არა, სახელმწიფოს დაარსება იყო შედეგი ხალხის
 ცხოვრებისა და თვით სახელმწიფოს განწყობილთა გამოჭრილი
 ამ ცხოვრებაზე. პირველადკი, სახელმწიფოს დაარსების შემდეგ,
 რხადათ გამოიხატა განსხვავება სხვა-და-სხვა წოდებათა შორის
 (Исторія Грузии, кн. Баратова, тетрадь 1, стр. 25—26).
 ეს განსხვავება არ მოსზობილა ჩვენ სახელმწიფოში ერთს წუთ-
 საც, მას ყოველთვის ვხედავთ სასტიკად განხორციელდეს
 ცხოვრებაში. თუ რა სასტიკი და უგედურესი იყო ეს განსხვა-
 ვება, სხვათა შორის, სხნს იმ თაქტიდგან, რომ ყოვ ლივე კაცს
 მხოლოდ თავის წოდების ჭალი შეეძლო შეერთო ცოლად რა-
 მეთუ მოიყვანიან (ცოლთა) თავისთვისთა თანასწორთა, მთავარ-
 ნი მთავართა, აზნაურნი აზნაურთა, და უმცირესნი უმცირესთა,
 ცოლნი თვისთა თანასწორთა ერთთა. (გეოგრაფიული აღწერა
 საქართველოსა, ბატონიშვილის ვახუშტის მიერ, გვ. 6, 22).

ჩვენ აქ ვკსურს, შეძლებისამებრ, განვმარტოთ ჩვენი
 გლეხ-კაცობის უუღება და კანონი ძველად ჩვენ ქვეყანაში.

საჭიროდ მიგვაჩნია ეს დიად შესანიშნავი საგანი მით უფრო, რომ აქამომდე ჩვენ მწერლობაში მის შესახებ შეტად ცოტა თქმულა და გარდა ამისა თვით გლეხ-კაცობაც ძიელ საუფრად-ღებო წოდებას წარმოადგენს. ჩვენ სამშობლოში გლეხ-კაცი იზიდავს ესლას სულს და გულს ყოველი პატრიოსანი კაცისას. ევროპაშიც მწერლობა დაბალ ხალხს, სოფელს კარგად გილზე აყენებს. უქადის მას ნაყოფიერ და სსანარკებლო მო-მავალს. რისთვის? მისთვის, რომ ევროპაში მაღალი წოდება წვრილმანდება, უძღურდება. თვით განვითარებული მესამე წოდება, ბურჟუაზია გააუქმავატების გზას დააგა. ნიშნები მისი გამოაშკარავდნენ. უკვე დაიბადა ახალი შტო მეცნიერ-ებისა (— — паталогія), რომელიც გულ-მოდგინებით სწავლობს და აკვირდება ამ მოვლენას, მის მიზეზს. ჩვენ მსო-ლოდ ვუჩვენებთ ამ მოვლენას, მის გამოარკვევა, განმარტება ჩვენს საგანს არ შეეხება აქ საგამო იქნება ჯერ გამოვსტქვით მარტო ის აზრი, რომ ზემოდ ნახვენები პატალოგიური მოვ-ლენა, სხვათა-შორის, არის იმის მიზეზი, რომ უკანასკნელ დროს ევროპაში დიდი ყურადღება მიაქტიეს დაბალი ხალხის ცხოვრების შესწავლას. ჩვენშიც, კვონებ, ანალოგიური მოვლე-ნა იშვა, თუმცა ეს მოვლენა ჯერ ისე აშკარად არ გამოინატა, როგორც ევროპაში. ჩვენშიც მაღალი წოდება ნელ-ნელა ფუ-ქსავატდება, უძღურდება. ოდესმე ძლიერი და ამაყი თავა-ღობა დაძაბუნდა. ეს განჯავთ ნამდვილი ფაქტი, ყველასთვის ცხადი, ვინც ვი ჩვენ ცხოვრებას აკვირდება, სწავლობს. . . ჩვენ არ მიგვაჩნია ჭეშმარიტებათ ეს აზრი . . . ჩვენ გვჩწავს, რომ ავთმყოფის გამობრუნება, მისი მოარჩენა, გასაღება შესაძლო არის. საჭიროა მსოლოდ

წესიერი, ჯეროვანი მკურნალება ოპით ფინსირლოგიურ-ისტორიული სკოლის (დრ. პერ) საფუძვლები არ მიიღეს ვითარცა უოვლად შესაწინარებელი სინამდვილე, ჭეშმარიტება, არ არის მართლაც, ვითომც ხალხი უნდა მოკვდეს და მასხადამე ის წოდებაც, რომელმაც განკლთათვისი სიცოცხლის გზა, დღენი. ჩვენში მალა წოდებას შეუძლიან თავის განკურნვა სხეულებისაგან, მისი დაკეპს აუცილებელს მოკლენს არ შეადგენს. მაინც უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენში მომავალი გლეხ - კაცობას განაკითარებს, დაბალი წოდება უნდა შეიქმნეს კეთილი - ცხოვრების ბურჯად. ამას გრძნობს უკვლავ, ამას ღაღაღებს თვით ჩვენი მწერლობაც. საჭიროა ჩვენი გლეხ-კაცობის წარსული უფლებრივი მდგომარეობის შესწავლა, საჭიროა მით უფრო, რომ მხოლოდ ამ შესწავლის შემდეგ შევიტყობთ — თუ რა გზას უნდა დაადგეს ჩვენი მწერლობა, რა მიმართულება უნდა შეეცეს ჩვენ შეერთებულ ღვაწლს. სამწუხაროდ, ჩვენში ერთი და იგი ისტელიგენციის გუნდრუგს უმეებს ჩვენი გლეხ-კაცობის წარსულს, მის უფლებრივ ცხოვრებას, თუმცა ჩვენი გლეხ-კაცობის უფლება და კანონი მოწოდებუნი უნდა იყვნენ გუნდრუგის ემეგას. ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენ გვესმის „მამულის შვილების“ მიზანი, მათი ლტოლვა... ჩვენ ბევრში თანაუგრძნობთ მათ, თუმცა ზირ-და ზირ ვამბობთ, რომ გინა ამხსენს უკუნის ისტორიულ ჭეშმარიტებას. და ან რა საჭიროა ეს დამახინჯება? განამას სარგებლობა მოაქვს? ჩვენ ვიწყობთ მით, რომ ვამბობთ: ჩვენი გლეხი იურიდიკულად იყო ყოველ მხრივ დაჩაგრული არსება — დავიწყეთ ღვაწიდან... უფლებრივი მდგომარეობა

მარეობა ჩვენი გლეხ-კაცის ოჯახისა ბევრად ემგზავსება ძველი
 რომაელების ოჯახობის წყობილობას. როგორც რომში, ისე
 ჩვენში ოჯახი დაფუძნებული იყო ოჯახის მამის უსამზღვრო
 ძალაზე, უფლებასზე: ამ ძალას, უფლებას ემორჩილებოდნენ ოჯახ-
 ხის წევრნი. თვით ოჯახი, როგორც შინჯეულ-დაწეებითი იურა-
 დიკული გავიხიო, აშენებული ოჯახის მამის დესპოტიურ უფლე
 ბაზე, ხელს ვერ უწეობდა კაცის ზნეობრივი ბუნების განვითარე-
 ზას, მის აღზდას. ამისთვის საქართველოში ვხვდებით იმავე მოკ-
 ლენას, როგორც თითქმის ყოველი საღისის ცნობრებაში. ჩვენ-
 შიაც არ იყო გახსნილი ზნეობრივი პირღვრობა, ჩვენშიაც ყო-
 ველი წევრი ოჯახისა იურიდიკულად დათრგუნვილი იყო ოჯახის
 მამისაგან. თუ რა შორს მიდიოდა, თუ რა ვრცელი იყო ოჯახის
 მამის უფლება სხანს იმიდგან, რომ მას სრული ნება ჰქონდა თავის
 შვილის გაყიდვისა, დაგირაგებისა და სს., ოჯახის წევრი ოჯახ-
 ხის მამის ხელში წარმოადგენდა სივითს, რომელიც გამოსაყე-
 ნებული იყო სხვა-და-სხვა იურიდიკული მოქმედებისათვის. ოჯახ-
 ხის მამა ოჯახში იყო არა მარტო მამა, არამედ ძმაც (თუ მამა
 ჩოცხალი არ იყო) და უკანასკელ შემთხვევაში უფროს ძმას
 უსამზღვრო უფლება ჰქონდა უჩროს ძმასზედ, შეეძლო მისი
 გაყიდვა (თუ შვილი ან მამისაგან, ან ძმისაგან ან სხვის ვის-
 განმე ან გასყიდულა... კასტანგის სამართალი, მუხ. 136).
 გარდა ძმისა, მამისა, სხვა პირსაც შეეძლო ოჯახის მამობა, ჩამ-
 მამავლობით უკრას ნათესავს. დედა-კაცი კი, როგორც რომ-
 ში, ვგონებ, მოკლებული იყო ოჯახის მამობის უფლებას. ეს
 გარემოება გვიჩვენებს ორთა სქესის იურიდიკულ განსხვავებას.
 შვითხველი ნუ იფიქრებს, რომ კაცის გაყიდვის უფლება ჰქონ-
 და მხოლოდ მატალ წოდებას, თავად-აზნაურობას, სასულიერო
 წოდებას, არა, — რომაელების უფლების შინაარსი, ესრედ წოდე-

ბული ანტონო პატრიარქის (ოჯახის მამის ძალა) მეტრად, ფართოდ მოქმედობდა გლეხ-გაფობის ცხოვრებაში. ერთს ჩვენს შესანიშნავ იურიდიკულ მოვლენას შეადგენს ის, რომ ბევრჯერ ჩვენ გლეხს თავისი უღლები ჭეკანდენ. ამ გვარი გლეხი (ნასყიდი, შეძენილი) არ იყო წვერი ოჯახისა, მაგრამ მაინც, იურიდიკული თეორიის ძალით, გლეხი ჭეკიდა თავის გლეხს, როგორც მისი პატონი, უფროსი, როგორც ანტონო-ფაშილიასია. საუურადღებო კიდევ ის არის, რომ ამ გვარი იურიდიკული შეხედულება ჩვენი გლეხ-გაფობის მოქმედობდა დიდს ხანს; მაგ., 1808 წელს შუა მთის მონასტრის წინამძღვარმა აყიდა ორი გლეხი თავისი სასლობით გლეხ გუმბაძე და დანაქიშვილისაგან (Груз. Церк. Гуджари, Д. П. Пурцеладзе, стр. 86—88). ნასყიდი, შეძენილი გლეხი თვით გლეხის-პატონის შეხედულებით შეადგენდა ნივთს, მოძრავ საგანს და არა სხვა რამეს. ოჯახის მამის უფლება მეტადრე დასავლეთ საქართველოში დიდს ხანს მოქმედობდა. აქ ამ ჩვენი საუფუნის პირველ წლებში ვხვდებით მაგალითებს, რომ მამა გაჭვიდა ხოლმე შვილს. მიზერა ზედა გაუიღვისა სხვა-და სხვანი იყვნენ; მაგ., 1811 წ. გოგიოტა გაბასიძეს გაჭირვებამ გაუიღვინა თავის ქალი (Груз. Церк. Грамоты и пр. Д. П. Пурцеладзе, стр. 118). თუმცა ჩვენს და რომაელების ოჯახის განწყობილობაში ვხვდებით ბევრს მკვლავსებას, მაგრამ მაინც ჩვენს უფლება უფრო ჭეკანური და უნებობითი ხასიათისაა, კიდრე რომაელებისა. მაგ., რომაელს განონი ნებას აძლევდა შვილების სიკვდილისა. სოცოიერთა შემთხვევაში, ჩვენში ამ სასტიკ და ბარბაროსულ ზომიერებას მოშორებულნი იყო განონი. ჩვენი ოჯახის მამის ძალა წვერის გაუიღვის, მისი დაჯვის (მაგ., გალახვის) იქით არ მიდიოდა; ჩვენ ოჯახურ უფლებას ცხადად ეტყობა პოლიტიკური კეთილ-

წესიერების ხასიათი, მიმართულება; თვით ოჯახის შიშის თავის განსასწავლელნი მოკლებიანნი ჰქონდა და, უკეთეს ის დასძევებდა რასმე კანონის წინაშე, უსუსუის მკობელიც იყო («თუ შიშამ შვილი მოკლას... მაგისი სისხლი და სამართალი არ დაიწერებოდა და სჯულის კანონით უნდა გარკიდეს...», კასტანციის სამართალი, მუხ. 78, იხილეთ უკრეთვე მუხ. 81—82). თვით ქალი ოჯახში იურიდიკულად არ იყო ისე დანაგრული, როგორც, მაგ., რომში ჩვენი კანონი ქალის შირთუნობას დიდს მატრიონს სტემადა, თუმცა კი სრულიად ამოწმებდა მას შიშ-კაცს (კასტანციის სამართალი, მუხ. 62, 63, 64, 72 და სხ.) საზოგადოთ შეიძლება ითქვას ეს ღედა-აზრი, რომ ჩვენში ქალი არ იყო ისე დანაგრული, მოკლებული ეოველივე უილუბას. როგორც აწიის სხვა ხალხების ხელში, თუმცა კასტანციის სამართალი ქალის უილუბას სავრძნობლად ავიწროებს («მაგრამ მისის ენით მოადის ანუ იგი დედება, არცა რა წყურთმის; თუ კაცს დაიმოწმებს მტლარი არის და სხ... მუხ. 216, იხილეთ უკრეთვე მუხლი 239).

საზოგადოდ ჩვენი საოჯახო უილუბა, ოჯახის იურიდიკული განწყობილობა წარმოადგენს იმავე მოკლებას, რომელსაც ჩვენ თითქმის უილუბა ხალხის ძველ ცხოვრებაში ვსვდავთ ძველმა უილუბამ არ იცოდა კაცის შირთუნობის თავისუფლება, უნდა იმითი ბუნება კაცისა არ აღიარებდა ძველმა კანონმა: ძველ დროს კაცი, როგორც თავისუფალი შირთუნება, არ იყო ცხოვრებაში გამოსული. უ. მენის სიტყვით, უწინდელი საზოგადოება შენდგებოდა ოჯახებიდან (агрегация родовъ) და არა, გასაკუთრებული შირთებიდან (сообщество индивидовъ); ძველი საზოგადოების ერთეულს შეადგენდა ოჯახი, აწინდელისას გასაკუთრებული შირი, ინდივიდი. ამ საზოგადო კანონს ემორჩილება

ყოველი ხალხის წარსული ცხოვრება. ცხოვრების მიმდინარეობა, კაცის ზნეობითი ბუნების გაუმჯობესობა, იურიდიკული მხრით, სხვათა შორის, გამოიხატა იმაში, რომ კაცის პიროვნობამ მიიღო ჯიჯივანი ღირსება, დაიმკვიდრა ადგილი კანონისა და უფლებების წინაშე. თვით სასტიკი და პაწაწარსულნი რომელებიც სოფლის უფლება, რესპუბლიკის დამხობის შემდეგ, შეიცვალა (Г. С. Мэнъ, Древнее право, его связь съ древней историей общества и его отношение къ современным идеямъ, стр. 106—115). ჩვენში, როგორც წინააღმდეგ ვუჩვენეთ, საოჯახო უფლება მოქმედობდა ამ საუკუნის პირველ წლებშიც. იმის შემდეგ, როდესაც შემოვიდა მთავრობა რუსეთის იმპერიისა და მის წესი და კანონი ჩვენში. თუ მივიღებთ მხედველობაში იმ საზოგადო მოკლესას, რომ ცხოვრების გაუმჯობესობა, ხალხის ცხოვრების ისტორიული მიმდინარეობა ასუსტებენ, ალაზათიანებენ ძველ საოჯახო უფლებას, მაშინ ჩვენი უფლების შესახებაც საზოგადო აზრი უნდა ითქვას, სახელდობრ ისა, რომ ჩვენში საოჯახო უფლებებზე ბოლო დროს დაჭკარვა თავისი მკაცრი, სასტიკი ფორმა და იშვიათათ მოქმედობდა ცხოვრებაში, თუმცა კი მოქმედობდა დიდ ხანს. რომელი დროიდან და როგორ მოხდა ეს დიდი საყურადღებო მოკლენა, ჩვენ ჯერ არ ვიცით, რადგანაც ჩვენში არ არის დაარსებული უფლების ისტორია. საზოგადოდ კი შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ვანტანგის საშართაღს (გამოიცა 1703 — 1709 წლების შუა) აშკარად ეტყობა ჭუმანიური მიზანთულებობა, იგი უარ-ჭყობს ბევრ მოთხოვნილებებს ძველი საოჯახო უფლებისას და სწორედ ისეც უნდა ყოს. ამბობდნათაც ჩვენ სასულიეროში სოციალური წარმატება ვეცდოდნ და ფართოდ ადგილს იჭერდა, იმოდენად ძველი საოჯახო უფლება, ამბობუ-

ლი ოჯახის მამის დესპოტიურ ძალაზე, ნელ-ნელა, მაგრამ შე-
 უხერხებლად ჰკარგავდა თავის სამთელაობელის სხვა და სხვა ნა-
 წილებს. კაცის პიროვნობა იძენდა უფლებას, ოჯახი, ამატერ-
 ტამილასა, ჰკარგავდა მას. ამ მოვლენის მიზეზი, კიდევ ვიძეო-
 რეთ, იყო ჩვენი ხალხის ეულტურული ძალა, მოძრაობა. ჩვენ
 ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რომ ამ უფლებრივი პროგრესის
 მოძრაობაში სასულიერო წოდებას, ეკლესიას, ვითარცა უნეო-
 ბითი სწავლის წარმომადგენელს, მონაწილეობა არ მიუღია, არ
 შესწევნია, არ დახმარებია მას. წინააღმდეგ ამისა, ეკლესია სულ
 სხვა მიზანს ელვტოდა, ემსახურებოდა. სასულიერო წოდების
 შესხედულობით გლეხი იყო ნიეთი, საგანი და ეს ნიეთი კიდევ
 გამოდგებოდა თითქმის უოველ იურიდიკულ შემთხვევაში (გა-
 უიღვა, დაკონაკება და სხ.). ეს წოდება მოძრაობდა, ცხოვრობდა
 იმავე უფლებრივ მდგომარეობაში, როგორც სხვა წოდებანი ხა-
 ლსისა და, რასაკვირველია, რომ ამ ჩვენი საუკუნის დამდეგს
 ხარბულად და იათად ეიდულობდა გლეხ-კაცებს, თითო გლეხ-
 კაცს სამ თუძან ჩახეკრათ (Груз. Церковные Гуджари, стр.
 140, 127 და სხ.—აქ ჩვენ ძველი მარჩილი ეხლანდელ იუულ-
 ზე ვიანგარიშეთ). თვით სასულიერო წოდება ემტრნილებოდა
 საოჯახო უფლებას თავის შინაურ ცხოვრებაში. მკითხველს ნუ
 ეგონება, ვითომც ეს წოდება სცდილობდა კაცის პიროვნობის
 თავისუფლებისათვის, განვითარებისათვის. მართალია, აქა-იქ
 ვხვდებით მაგალითებს, რომ ეკლესია ხალხს უგრძობლად კაცობის
 გაუიღვას (Гр. Цер. Гуджари, стр. 149, 152, 153), მაგრამ
 ეს შეადგენდა დროებითს მოვლენას; მეორეც ესა, რომ ეკლე-
 სიას სწევინდა უფრო ის, როდესაც ჩვენ ქრისტიან გლეხს მი-
 ჰყიდდნენ ვისმე ურწმუნოს, მაკ, თათარს (როგორც სწიბრი
 მოვლენა იყო სამეგრელოში). რომ ეკლესიას არათურად მიანდა

გლეს-კაცების ინტერესები, სხვათა შორის, მტკიცდება იმ ფაქტიდგან, რომ ეკლესია (იმერეთში) კვირაში სჯმ დღეს თავის სასარგებლოდ ამუშავედა გლეს (Гр. Цер. Гуджари, стр. 116 — 117), ნახევრად უნაწილებდა შრომას. სადა არის აქ ქრისტიანული შებრალება? ასე და ამ გვარად ეკლესიის შემოწმება საზოგადო იურიდიკულ განწყობილობას.

რა იყო მიზეზი, რომ ზნეობრივი ბუნება კაცისა, მისი პიროვნება თუ სრულფად დახშული არა, მანც ძიელ იყო დაჩაგრული ძველ საქართველოში? რა გარემოებანი ეწინააღმდეგებოდნენ კაცის იურიდიკულ განკითხვას? ჩვენ არ ვითანხმებით პატივ-ცემულის დ. პ. ფურცელაძის აზრს (Груз. крест. Грам. и пр.. предисловіе, стр III.), ვითომც ამას მიზეზი იყო ისა, რომ ჩვენი ცხოვრების დასაწყისს. საფუძველს შეადგინდა ქონება, მამული უ. ფურცელაძის სიტყვით ჩვენში ყველას ნიშნავდა ქონება, სხვა რაიმეს არაკითარიმე მნიშვნელობა არა ჰქონდა რა; ამისთვისაც კაცის ზნეობრივ პიროვნებას ადგილი არ ეჭირა ცხოვრებაში. გულნი მოკლებულნი იყვნენ კაცის ღირსებას, რადგანც ქონებასაც მოკლებულნი იყვნენ. გქონდა ქონება, მამული კაცის იყავი არა — ყველა გვარი კაცობრიულ ღირსებასაც მიხდელი იყავი. ის გარემოება, რომ ძველ საქართველოში კაცის ზნეობრივი ბუნება დაჩაგრული იყო აინსებებ თვით საოჯახო უკლების განწყობილობით და არა მამულთ, ქონებით. მამული აქ არაიქნა შუაშის საოჯახო უფლება მაშინაც მტკიცდებოდა, როდესაც კაცს (მაგ. ეულს, ბოჯანოს) მამული არა ჰქონდა. რომაელმა არ იცოდა («პატრიარქამილიას») ოჯახის წევრის ზნეობრივი თავისუფლება, თუმცა ოჯახს ჰქონდა მამული. ყველა ხალხის ცხოვრებაში ვხედავთ საოჯახო უფლებას. ეს მოკლება ბუნებრივია და ყოველ შემთხვევაში მოიხდურ

კება, ეგრეთვე მაშინაც, როდესაც ქონება არ შეადგენს ოჯახის საფუძველს. ჩვენშიაც ასე იყო. საზოგადო სოციალური კანონი ოჯახში (ოჯახის მამის გარდა, სხვა წევრი თავისუფლებას მოკლებული იყო) მოქმედობდა ჩვენ ცხოვრებაშიც. მეორეც ესა, რომ საოჯახო საფუძველი (родовое начало) ჩვენშიც შეადგენდა იურიდიულ განწყობილობას (წინააღმდეგი სქესდულობისაა უფურცლად, იხ. იქვე გვ. II) და არა ცხოვრების სტიქიონს. ჩვენ უკვე ვუჩვენეთ, რომ საოჯახო საფუძველი საზოგადო სოციალური მოკვლენა ვგონებ, სამუდამოდ მიღებულია ის ჭეშმარიტების სოციალოლოგიაში (См. Г. С. Мана., стр. 97—100 и пр.), რომ ყველანაირი ანტიკონტრადიქციონის ცხოვრებაში მოიხილება საოჯახო საფუძველი, ვითარცა იურიდიული წესდებულება. და ან რითა ამტკიცებს პატრიარქული ავტორი თავის აზრს? ვგონებ—ვერსიონით. ავტორი არ ვკომტკიცებს—თუ რა მიზეზების გამო ჩვენი საოჯახო საფუძველი შეადგენდა გამოჩინებულ საზოგადო სოციალური კანონიდგან (ვითომც იყო სტიქიონი და არა იურიდიული წესდებულება). ამ მიზეზების ჩვენება ვი შეტად საჭირო იყო დედა-აზრის დასაფუძვლებად.

თვით გარეგანი განწყობილობა უფლებისა და კანონისა ძველ საქართველოში ხელს ვერ უწყობდა, არ ესაჩილებოდა გლეხის მდგომარეობას, ამ მდგომარეობის გაუმჯობესებას. ეს გარეგანი განწყობილობა ზედ-გამოჭრილი იყო ცხოვრების პოლიტიკურ ბრუნვისადაც, როგორც იყო ეს ბრუნვისადაც, ისეთი იყო უფლებისა და კანონის განწყობილობა. ძველი საქართველოს სახელმწიფოს ბრუნვისადაც იყო ფეოდალურ-მონარქიული. პირველადვე რა მალა სახელმწიფოსი გამოვიდნენ სახარკოზე—ფეოდალობა და მეფობა. მთელი ჩვენი პოლიტიკური ისტორია შინაგანი ცხოვრებისა წარმოადგენს ერთს შეუჩერებელს,

ხან გრძლივ ბრძოლას ამ ორთა ძალთა შორის. თვით ეს ბრძოლა იყო სხვათა შორის, უმთავრესი მიზეზი იმ საყუარდ-
 ღებო მოკლენისა, რომ ჩვენმა სახელმწიფომ არ იცოდა ის
 უკიდურესი ფორმა მმართველობისა (абсолютизмъ, автократія),
 რომელსაც ვპოვებთ დასავლეთ ევროპაში. ჭეოდლობა უჭერდა
 თავს შეფობას, შეფობა — ჭეოდლობას. სახელმწიფოში ვერც
 ერთმა მათგანმა სამუდამოდ ვერ დათრგუნა მეორე. ამ პოლი-
 ტიკურ მოკლენას ვხედავთ ჩვენში რუსეთის მთავრობის შემოსე-
 ლამდის. იყო შესაძებ ძალა, რომელიც ეწინააღმდეგებოდა შეფობის
 გავრცელებას, სახელდობრ ისა, რომ ჩვენი სახელმწიფო მეტად
 ხშირად იყო ხალხე სხვა-და-სხვა ხალხის სექციებით. მკითხვე-
 ლი არ უნდა მოსტყუედეს მით, რომ მეფე ჩვენში «თვით-მზუ-
 რობელად» იხსენიებოდა (ვასუშტი, გვ. 48.) ტიტული კიდევ
 არაოქრს ნიშნავს, ბეგრჯერ ის წაღიერი სიტყვაა: სვენიშაც
 თვით-მზურობელთა წაღიერ ტიტულს შეადგენდა და არა მო-
 შქმედს პოლიტიკურ ძალას. უფლების და კანონის გარეგანი
 განწყობილებაც ჭეოდალ-მონარხიული ფორმისა იყო. ამას
 ქვემოდ დავამტიცებთ, ესლა კი გამოვსთქვამთ იმ დედა-ასრს,
 რომ ეკლას ისტორიული ხალხის ცხოვრებაში ვპოვებთ იმ მო-
 კლენას, რომ უფლების და კანონის განწყობილება სრულიად
 ესაბამება, ეთანხმება პოლიტიკურ ორგანიზაციას (მეტადრე სი-
 სხლის სამართალი, კანონი)... როდესაც შეიცვლება სახელმწი-
 ფო მმართველობა, უნდა შეიცვალოს უფლების და კანონის გა-
 რეგანი განწყობილებაც. ამას ცხადად კვიმტიცუნს რომის ის-
 ტორია, თუმიც არა მარტო ეს ისტორია, არამედ სხვა ხალხის
 ისტორიაც. როდესაც რომში არსებობდა არისტოკრატიული
 რესპუბლიკა, შესაბამად მისა თვით სამართალი იყო განწყობი-
 ლი (прегторскій судъ); მკასპო რესპუბლიკა, დაარსდა იმპე-

რია — შეიცვალა უფლების და განონის გარეგანი განწყობილება (президентский Судъ) და სს. (Бело. Организация уголовной юстиции въ главнѣйшія историческія эпохи, стр. 41 — 80). საბერძნეთში ვხედავთ დემოკრატიას. ხალხს (დუმას) ეკითხებოდა სახელმწიფო საქმეები, იგი განაგებდა ამ საქმეებს. შესაბამად ამ სახელმწიფო განწყობილობისა იყო განწყობილი თვით სამართალიც, უფლება და განონი, ესრედ წოდებული ჰელიასტების სამართალი (судъ гелиастовъ) სრულიად ეწყობოდა სახელმწიფოს ორგანიზაციას. როგორც სამართალი, ისე სახელმწიფო ხალხის სულ იყო (Бело, стр. 1—40, Афинская эпоха). ჩვენ სახელმწიფოში სულ სხვა მოვლენას ვხედავთ. აქ ხალხი (დასალი წოდება) მოკლებული იყო ვაკლენას უფლების და განონის განწყობილობაზე. როგორც უკვე გამოვთქვით — ამ განწყობილებას ქეოდად მონარქიული მიმართულება, ხასიათი ჰქონდა. ეს ხასიათი, ასე გასინჯვით, ვახტანგის სამართალსაც აშკარად ეტყობა და, ვგონებ, ეს უკანასკნელი გარემოება სრულიად არღვევს იმ აზრს (ამ აზრისა არიან ზოგიერთა რუსეთის სწავლულები), ვითომც ვახტანგის სამართალი გადმოკლებული იყოს (თუმცა სულ კი არა) რომაელების უფლებიდან. არა — ჩვენ სამართალს ზედ აზრის ნაციონალური ბეჭედი. ჩვენი სამოქალაქო განონები სწორედ რომ თავის სინამდვილით მათემატიკური ფორმულები არიან და ეს ფორმულები კიდევ ბეტად დახასიათიანად გამოიჭრიდნი ჩვენ უფლებრივ ცხოვრებაზე. ჩვენი ხალხის გენია გამოითქვა ამ საკვირველ განონებში, რომელთაც ძველ ისტორიაში ბევრი ხალხის სამოქალაქო უფლება ვერ უფრის ღირსებით. და რომ ეს განონები ჩვენი ხალხის გენიას ნათესავია, ამას ამტკიცებს თვით ვახტანგი. აზრმედ ვინათგან ქართველთა წესნი და ქცევანი სხვა რამე არს და არა მიაგას

სხვათა ქვეყნისა რიგთა და ქვეყლებათა... ა (ვასტანგის სამარ-
 თალი, შენიშვნა 204 მუსლის ქვეშით). თუ თვითა ვასტანგის
 სამართალს ქეოდად-მოხარხიული ხასითთ ეტყობა, შამ უნ-
 და დავასკვნათ, რომ უფლებრივი მდგომარეობა ელქობისა
 სრულიად ეთანსმებოდა სახელმწიფო განწყობილობას. ვიდრემ-
 დისინ შეუდგებოდეთ ამ განწყობილობის განხილვას, ჩვენ უნ-
 და ვუჩვენოთ ერთი გარემოება, სახელდობრ ისა, რომ უფლე-
 ბისა და კანონის განწყობილება ჩვენში ხვდა იყო ესრედ წოდებ-
 ბული მამასახლისობითი მმართველობის დროს, ე. ი. იმ დროს,
 როდესაც ვერ არ იყო დაანსებული წესიერად განწყობილი სა-
 ხელმწიფო. იმ დროს თვით სახლი სამართლებდა, განსჯიდა
 ხოლმე საქმეებს. უფროსთა, ჭკვიანთა, გამოცდილთა დიდი
 ღირსება და ადგილი ეჭირათ სამართლის ასპარეზზე. თვით
 ხალხი ირჩევდა მსაჯულთა. ეს განწყობილობა არ იყო იერმან-
 ლურად აღიარებული, დათუქმებული ისე, მაგ, როგორც იყო
 ათინაში დემოკრატიული სამართალი, არა, — მამასახლისობითი
 უბოქის სამართალი ჩვეულების საქმე იყო, შეადგენდა ჩვეულებ-
 რივ მოვლენას. ამ გვარ მოვლენას თოქმის ეკვლა ხალხის
 ძველ ცხოვრებაში ვხედავთ, მაგ., ძველი გერმანელების ცხოვ-
 რებაში (ტატიტ).

ჩვენ სახელმწიფოში მეფე, ვითარცა წარმომადგენელი სა-
 ლხისა, იყო დასაწყისი უფლებისა, სამართლისა. მის ხელთ
 იყო განახი. მას ხშირად მიმართავდა ყოველი ქართველი, ტა-
 ნურჩეველად წოდებრივი ღირსებისა, სულ ერთია — თავადი თუ
 გლეხი; ეკვლა ითხოვდა მისგან საქმის განხილვას; მეფე ვი-
 დეე საქმეს ჟურჯან გზას უჩვენებდა. ასე იყო ჩვენში არაერთ
 მართლ მაინ, როდესაც სახელმწიფო ტანტზე იხდა რომელი-
 შუ სუსტა მეფე, რწილობიწილად მოთაქმე, არამედ მხში

ხატის წოდებას სახელმწიფო ეპურა სახელმწიფო დირსების და ტახტის უფლების სასტიკ დამცველს, როგორც იყო ერეკლე II (Груз. Двор. Грамоты, стр. 23 და სხ. II. Пурцеладзе). ეს მოკლენა (მეფესაღას წარმადგებოდა სამართალი) საზოგადო მოკლენას ეკვდა საღისის კეთილად და წესიერად განწყობილს სახელმწიფოში. ჩვენშიც ამას ვხედავთ. სოციალური უმეტესად იმ ფაქტიდან, რომ ჩვენში დიდს და პატარას, გლეხს და დიდებულს ტყა დაუბრკოლებლად გახსნილი ჰქონდა შეივისადმი ეკლას შექმნა მისთვის პირდაპირ საჩივრის ძირთქვეს, გამოიყვანს იმ ყაღბს დასკვნას— ვითომც საქართველოს სახელმწიფო ტახტი აქიქიანა, ვითომც ჩვენი ხალხის კულტურულ ძალამ ვერ შექმნა სახელმწიფო. ამ გვარი შეხედულობა ამოკვირებს მხალღად ერთს— პოლიტიკური ანბანის უცოდინარობას. მეფეს ქვემოთ ადგილი ეჭირათ მსაჯულთ უხუცესს. ამის (მსაჯულთ უხუცესის) ხელის იეგნეს ყოველნი მსაჯულნი, ბჭენი და სვეის ბენი, სვეის-თაენი და ესევე სჯიდა საბრძანლს შეივისასა (ვასუბტი, გვ. 20) ამ დიდს ადგილს, დირსებას დიდი ბჭუის კარი ეჭირევიოდა. მაგ., 1785 წ. მეფე ერეკლემ ეს ადგილი მისცა გამოჩენილს მსაჯულს სოლომონ ლეონიძეს, ჩვენი წარსული ცხოვრების «უაბრციოს, კატონს». ამ მონარსიულ ელემენტს რომ თავი დაკანებოთ და ჭყოდალურსედ გადავიდეთ, აი რას ენახათ: მსაჯულთ უხუცესი იყო სატახტო ქალაქში, აქ განაკებდა ის საქმეებს, აღსრულებდა სახელმწიფო თანამდებობას. ცალკე თემი ეპარა ერისთავს, რომელიც იუროდიკულად ემორჩილებოდა მეფეს, სახელმწიფო ტახტს. ერისთავის უფლება და თანამდებობა, მისი იერაქიული ადგილი სახელმწიფოში გახსნადვრული იყო. აწესი ერისთავთა იყო შეივის ბერ განწყება ქვეყანადა და ამის ბერ მოურნეობა, სა-

მართალი და ლაშქარნი მის ქვეყნისანი მის ქვეშ იყვნენ» (გა-
ხუშტი, გვ. 12). ქეოდალი, ერისთავი, რომელიც სცხოვრობ-
და ნაბოძებ ადგილს, ცანაგებდა სამართლის საქმეებს გლეხ-
გატობისას. სძირად მოხდებოდა, რომ შეეყ უბოძებდა-
ხოლმე ქეოდალს სიგელს, სადაც დაწვლილებით იყო განმარ-
ტებული—თუ რა ვარიზა უნდა გადახდეს ასეთი თუ ისეთი
დანაშაულობისათვის, თუ რამოდენი ღირს სისხლი თვით ქეო-
დალისა. მაგ., 1455 წ. შეეყ გიორგიმ მეღვინეთ ხუტუას ასათ
განხაძეს რვა ასი-ათ-ასი ქირმანული დაუნიშნა სისხლის ფასად
(Груз. Двор. Грам., стр. 1—2). ბეგრჯერ მეფესაგან მიტყუ-
ლი სიგელი შეადგენდა მთელი სამართლის წიგნს, სადაც უკი-
და დანაშაულობა დაფასებული იყო; ეს სამართლის წიგნი
თემის კანონი და უფლება იყო, ადგილობრივი ძალა და მნიშვნე-
ლობა ჰქონდა. ერთი წიგნი განირჩეოდა მეორედგან; ზოგ
შათგანში ერთი და იგივე დანაშაულის სისხლი ძვირი იყო,
ზოგში იაფი. საკვირველია ერთი თვისება ამ სამართლის წიგნე-
ბისა». მათში ქეოდალის შეიღის გადახვა უფრო იაფად ღირდა,
ვიდრემდისინ იმავე ქეოდალის მენახირკი. მაგ., 1479 წ. ბა-
გრატ შეეყ უბოძა სიგელი ხუტუნა გუბადიძეს; შეიღის გადა-
ხვისათვის დაუნიშნა ექვსი ათასა თეთრი, მენახირის გადახვა-
სათვის—რვა ათასი თეთრი (Груз. Двор. Грамоты, стр. 39,
იხილე იქვე, გვ. 37, 38, 44.—იურისტისთვის მეტათ ძვირ-
ფასი სიგელები არიან). ამ სამართლის წიგნების, სიგელების
ხსენითი ცხადად გვიმტკიცებს, რომ ჩვენშიც სამართლის ის-
ტორიას (სისხლის სამართალი) ემორჩილებოდა საზოგადო კან-
ონს, სახელდობრ იმას, რომ ჩვენშიც, როგორც სხვა ხალხის
ცხოვრებაში; დანაშაულობას შირველად ჰქონდა კერძო მნიშვნე-
ლობა; დანაშაულობა შეადგენდა კერძო შირის ვნებს, ზარდალს.

და აწა სხელმწიფოს, სასოგადოების წინაშე პრაქტიკულადაა. შემდეგში ჩვენი სისხლის სამართალი სხვა გზას დაადგა, ხალხის იურიდიკულ ანროვნობამ გამოიკვლია ის დედა-აზრი, ესა და უკვდა განათლებული ხალხის ცხოვრებაში აღიარებული, რომ სისხლის დანაშაულობა არა-თუ მარტო კერძო პირს აძლევს ვნებას არამედ სხელმწიფოსაც, სასოგადოებასაც და მანისა-დამე სისხლის სამართალი სხელმწიფოს საქმეა, იმის გამგეობაში უნდა იყოს. ეს ხასიათი ეტყობა ვახტანგის სამართალს, რომელიც შესდგა სხვა-და-სხვა ხალხის იურიდიკულ ჩვეულებათაგან და რომელიც შეადგენს ჩვენი ხალხის ანროვნობის ნაყოფს. მკითხველი ნუ იფიქრებს—გითომცდილი გულტურული ძალა არ იყო საჭირო შემოდ ნაჩვენები დედა-აზრის შემუშავებისათვის, მისი ცხოვრებაში განხორციელებისათვის. ვინც იცის სისხლის სამართლის ისტორია, იმისათვის ჭკმაძრიტია, რომ მართლაც დიდი გულტურული ძალა, იყო საჭირო აღნიშნული დედა-აზრის ცხოვრებაში განხორციელებისათვის. იგრა რამდენი ხანია ოსეთში ევროპიულად, რუსეთის სამართალი მოქმედობს. მაგრამ ესადა ოსებს ვერ გამოეჩვენებიათ ის დედა-აზრი, რომ დიდ დიდი ხანია ჩვენი ხალხის საკუთრებას შეადგენს. ესადა ოსებში სიკვდილი კაცისა მორიგებით თავდება, სიხლში რამდენიმე ქროხის, იუფის, იარაღის მიცემით. ესადა ვერ მიხედავან, რომ დანაშაულობა არღვევს სასოგადო ინტერესს და არ შეადგენს მარტო კერძო ზარალს, ვნებას. მეორე საყურადღებო მხარე ჭკოდალური ელემენტისა ჩვენ სამართალში არის ის, რომ ბევრჯერ თითონ მეფე რომელიმე პირს აძლევდა მეტად დიდ უფლებას; ბევრჯერ ჭკოდალური ელემენტი სხაგრადა მონარხიულს; მაგ. 1677 წ. მეფე ერეკლე და მისმა მეუღლე ელენემ უბოძეს მდივანს ონან ქობულა

დაშვიდს სოფელი უჩიღ-უღუნი აი რა შირობით: თვით მეფეს ხელი არა ჭქონდა სოფელთან; მისი მოხელენი ვერ გაივლიდნენ იქ, ქობულაშვილს უნდა გადაეწყვიტნა და აღსრულებამი მოეყენა მეფეს შესახებ საქმეები (Груз. Двор. Грам., стр. 9).

ჩვენმა სახელმწიფო უფლებამ იცოდა ეკრეთვე საეკლესიო ანუ სასულიერო ძეგლადობა. ეკლესიას ჩვენში იურიდიკულად მუტად დიდი მნიშვნელობა ჭქონდა, უდიდესი გიდრეშდისინ თვით საერო დეოდლობას. პოლიტიკური მნიშვნელობა კი სსულიერო წოდებისა ვერ აღემატებოდა სახელმწიფო საერო ძალას, უფლებას. ამისთვის ჩვენი სახელმწიფო მოძიარებული იყო თეოკრატიულ საფუძველს, პრინციპს. ეს პრინციპი ვერ აღარძინდა საქართველოში მის გამო, რომ დასაწყისიდგანვე ეკლესიამ შეადგინა გასაკუთრებული კავშირი, იურიდიკული ერთეული, რომელიც ემორჩილებოდა საერო სახელმწიფო ძალას, მაგრამ არ იყო საკუთრება ამ ძალისა. თეოკრატია, როგორც პრინციპი, აჩსუბობს მაშინ, როდესაც საერო და სასულიერო ძალა, უფლება ერთი შირას ხელთ არის (სულ ერთია — თვისიკური იქმნება ეს შირი, თუ იურიდიკული) და ეს შირი კიდევ ღვთაებრივ უფლებას მაღლა აუენებს ქვეყნიერზე. ჩვენში სახელმწიფო საერო დაწესებულებას, კავშირი იყო, ისეთი ტიპისა, როგორც ევროპაში ვსედავთ სახელმწიფოებს. როგორც გასაკუთრებული წოდება, ეკლესია ტახტის ხელთ იყო. თუმცა განონის ძალით კათალიკოზი სულის ხელმწიფე იყო (ერთი ხორცის ხელმწიფე არის და მეორე სულისა“... ვახტანგი, მუს. 25), თავის მნიშვნელობით და ღირსებით დაახლოვებული მეფესადმი, მაგრამ იგი მანც მეფეს ემორჩილებოდა (რესე ვვაჩის მტკირთველი) მოაწვევდა კათალიკოსთა და ეპისკოპოსთა

და შერისხვანა ამას მიერ იყო შეფისაგან“ (კახუმტი, გვ. 20). შესანიშნავია ჩვენ სახელმწიფოში ის მოკლეხანა, რომ სასულიერო წოდებამ შემდეგში, მეოქროსმეტე საუკუნეს დასაწყისში, ხელი მოჭვიდა სამხედრო საქმეებსაც, უმთავრესი წარმომადგენელი ამ წოდებისა შიქინა სპასპეტად, სრმოლად კელსე მტრებთან მეომრად ამის მიზეზი იყო „დადგობა და უღონობა ერთა“ (კახუმტი, გვ. 55). საღვთის უღონობა, გულის გატყუება აქ არაფერ შუაშა. უმთავრესი მიზეზი სასულიერო წოდების გაძლიერებისა, მისი უფლებების გაგრძელებისა იყო პოლიტიკური დამოკიდებულება, ხალხთა შორის უფლებრივი მდგომარეობა ჩვენი სახელმწიფოსი. პოლიტიკური დამოუკიდებლობის დაკარგვა, თავისუფალი სახელმწიფო ტახტის დამორჩილება სხვა სახელმწიფოსადმი იყო იმის მიზეზი, რომ სასულიერო ქეიდაღიზიმმა სემოდ თავი წამოჭრა და სამხედრო ძალა დახარჩუნა (Груз. Крест. Грамоты стр. V, 81—94). ჩვენი პოლიტიკური ისტორია გვიტყობს, რომ როდესაც სახელმწიფოს ძალა სუსტდებოდა, მაშინ ქეიდაღები ძლიერდებოდნენ და არა იშვიათაა სხაგრავენებს სახელმწიფო ტახტს. ამ სასოკადო მოკლეხანას სხვა სახელმწიფოებშიც ვხვდავთ, მაგ. ევროპაში: ჩვენშიაც ასე იყო. ისიც უნდა ითქვას, რომ ჩვენი საღვთის პოლიტიკური საწმუნოება უარ ჭეობდა თეოკრატის და ამისათვის სასულიერო წოდება არაოდეს არ ყოფილა ჩვენში პოლიტიკური ძალა, რომელსაც დაემორჩილნოს სახელმწიფო, ტახტი. რუსთავის ეპარქია შემტათ ძლიერი იყო, მაგრამ ისიც ვი ემორჩილებოდა ტახტს (Грузинские Цер. Гуджари, стр. III, 1—6; ისიდე ეგრეთვე გვ. 15, 35). თვით ძლიერება ეკლესიისა, რელიგიური მიზეზების გარდა, დაშვარებულ იყო მატერიალურ, ეკონომიურ

საბუთსკდ. ჩვენშია, როგორც ეგროზაში, სასულიერო წოდება მართლ სულიერი სასწრაფოთი როდი იკვებებოდა, მისთვის საჭირო იყო ხორციელი სასწრაფო არა ნაკლებ სულიერისა. თუ რა დიდს ლუკმას შეადგენდა ეს ხორცის სასწრაფო სხანს, სხვათა შორის იმ ფაქტიდგან, რომ მცხეთის ეკლესიას 1683 წ. ჭყვანდა ათას ოც-და-სუთი კომლი გლეხ-კაცი (იქვე, გვ. 112). თავის საკუთრება ეკლესიამ შემოიფარგლა. მის სამფლობელოში ფეხის გადადგმა არაგის შეეძლო, ბევრმა განიხილა არ იცის ის უკიდურესი ცნება საკუთრებისა, როგორცაღ ვბოკებთ ჩვენ საეკლესიო განიხილ. საეკლესიო მამული ქრისტეს საკუთრება იყო (იქვე, გვ. 89). თვით მეფეს, ძლიერ ერეკლე მეორეს, არ შეეძლო ხელი ეხლა საეკლესიო მამულისათვის. ამ რა უბძანა მან უჯანმელებს 1789 წ.: „არა თუ წართმევა, ვერც კი შემოიღონ შეკესო საეკლესიო მიწებს“ (იქვე, გვ. 85). თუ ერეკლე ამას ამბობდა, ამა „იწილო-ბიწილოს“ ავტორი, იმის შემკვიდრე გიორგი რაღას იტყოდა, — „მე ეკლესიასთან ბრძოლა არ შემოიღონ“ (იქვე, გვ. 35). მაშინაც კი, როდესაც ჩვენი სახელმწიფო ჭკარგავდა დამოუკიდებლობას, სასულიერო ძეგლ-დალებს პატივისცემა არ აკლდათ. სპარსეთის შანჩი უღაქუცებდა ამ ძეგლ-დალებს, აჯილდოებდა მათ, — რა მენაღვლება ჩემი საქმე კი კეთილად წაიმართოსო. კათალიკოზიც ახვეწებდა ღმერთს ნადირშაჰის სულს, ლოცულობდა მის სახლობისათვის (იქვე, გვ. 113—114 და სხ.). ისიც არ უნდა დაივიწყოს შკოთხეულმა, რომ უოველთვის კეთილდღეობაში არ იმყოფებოდა ეს ბედნიერი წოდება. იყო ისეთი დრო, როდესაც ერთი პირველი-განი ჩვენი ეკლესია, სიონის ეკლესია საოცარს სიღატაკეში ჩაკარდა. წარსულ საუკუნის პირველ ნახევარში იფინანსიური მდგომარეობა სასულმწიფოსი დიდს განსაცდელში იმყოფებოდა.

სიონის ეკლესიამ იკისრა ნაწილი სასულემწიფო ვალისა და რა-
და რა თუმნათ და რა მანუათ დააგირავა თითქმის უკელა
საკლესიო ნივთები, ჯვარი, ბარძიმი, სახარება, ღუქნები და
სხვა უძრავი მამული, დააგირავა იათად, მაგ., ერთი ღუქანი
თერთმეტის წლის ვადით თუთსმეტ მანეთად, ძვირფასად
მორთული სახარება ოთხ მანეთად წელიწადში და სხვ. (აქვე,
გვ. 62 — 65.). მაგრამ რა გაეწეობოდა, როდესაც ის დრო
(წარსული საუკუნე) ჩვენ ცხოვრებაში ისე გაჭირვებისა იყო,
რომ თვით ტახტის შემკვიდრესაც ვიღვრის ოცი თუმანი არ
მოუბოკებოდა. რის ვაი-ვაგლახით ისეცა მან ეს იგული მულიქ-
შაქაროსანს, თანაც ესვეწებოდა — შუნი ჭირიმე დამატალე, მალე
მოგცემ, არსად გამთქვა, თორემ ჩვენი მოსისხლე იქნებოდა
(Груз. Крестьянскія Грам. и пр., стр. 50). მაგრამ ჩვენ იგი-
ნანსიურ მხარეს თავი უნდა დავანებოთ და უფლებრივს მივმარ-
თოთ.

სასულიერო წოდება, ეკლესიის შეადგენდა დაუმოკიდებულს
სასოგადოებას თითქმის იმავე ტიპის და ფორმისას, როგორც
დასაკლეთს ევროპაში. ჩვენი სასულიერო წოდება იყო „სასულ-
ემწიფო სასულემწიფოში“ მას არა თუ მარტო თავის საკუთარი
საკლესიო უფლება და ჯონი ეზურა, არა — თავის სამთავრო-
ლოში ის განაკება საერო საქმეებსაც, მას ჰქონდა თავის ქვე-
შევრდომებისათვის საკუთარი საერო „წიგნი სამართლისა“. ბევ-
ჯერ შეუეუბი უბოძებნენ რომელიმე ეკლესიასა სოფლებს და
სიგელებში უწერდნენ, რომ ნაბოძები სოფლები ყოველგვარად
სასულემწიფო ხარკისგან გაგვითავისუფლებისა და ნება არა გვა-
ქვს რაიმე მოვითხოვოთ მათგან (Церк. Гудж., стр. 102 —
103). ამ გვარ სოფლებში, ადგილებში სასულიერო წოდება
თავისუფალი ბატონი იყო; იგი განაკება უკელა გვარ საქმეებს,

მის ხელთ იყო უფლება და განონი საქროც და საქელესიოც. ვერც ერთს მოსკლე ჰირს. სახელმწიფოსას ვერ შეეძლო მუნ გაკლა და საქმის განგეობა (იქვე, გვ. 78—79, 81). მკითხველმა ისიც არ უნდა დაივიწყოს, რომ ჩვენი სასულიერო ტყუილები ემორჩილებოდნენ საზოგადო უფლებას, რომელიც ყველასთვის დასავალბელი იყო, ყველას შეეხებოდა. გარდა ამ უფლებისა ჩვენ გხედავთ ადგილობრივ უფლებასაც. ეს უგანასკნელი წარმოსდგებოდა ადგილობრივი ჩვეულებიდან, იყო ჩვეულებრივი უფლება (обычное право). სივრცე ამ ჩვეულებრივი უფლებისა შეტ-ნაკლები იყო, ე. ი. ერთს ეკლესიას დიდი უფლება ჰქონდა თავის სამოღვაწელოში, მეორეს ნაკლები. აქაც იმ მოკლენას გხედავთ, რომელსაც საერო ტყუიდალობაში. ეს უგანასკნელი გარემოება კიდევ უფრო ღრმად გამტკიცებს იმ აზრზე, რომ ჩვენი სასულიერო ტყუიდალობა მიაგავს ევროპიულს. ტყუიდალური განწყობილება, ჩვეულებრივი უფლება ეკლესიისა ისე ძლიერი იყო, რომ თითქმის ყველა ეპარქიას თავის საკუთარი განონები ჰქონდა, მისი უფლებები ვიდგომანკლება. იყო გასაკუთრებული; ამ გვარ ეპარქიაში გხედავთ თავის სამოქალაქო და საქელესიო. სისხლის სამართალს, მაგ., სამთავისის ეპარქიაში. სისხლის სამართალი ამ ეპარქიისა (იქვე, გვ. 49.) ბარბაროსული ხასიათისაა. იმ დროს (XVII სუჟ.), რომელსაც ეს სამართალი ეკუთვნის, დასავლეთ ევროპაშიაც სისხლის სამართალი საერო და საქელესიო ერთს და იგივე ბარბაროსულ სურათს წარმოადგენდა. რასაკვირველია, რომ სამთავისის ეპარქიის სამართალი კუდიანობისა და მკითხაობისათვის ცხვირს სჭრიდა დამნაშავეს („ცხვირით გახეობრება“). ვინც ნათესავთან იმრუშებდა მას ქვით ჩაქლავდა და სს. არა თუ სამართალი, თვით ივინანსიური განწყობილობაც ჩვეულებრივ უფლებასზე

იყო დამყარებული. ამ გვარ მატალითს წარმოგვიდგენს წილკანის ეპარქია (იქვე, გვ. 22—24). აქ გარდა იმისა, რომ განმარტებულაა ჯარიმა—ეკლესია დანაშაულობისათვის, ეგვიპტე ნახევრებია ხარჯი, რომელსაც სოიული ხდილობა მღვდლის სასარგებლოთ: კომლზე იყო ერთი ძროხა ან ცხვარი, ერთი კოდი პური, ერთი ლიტრა ქერი, სამი აბანი რეული, ერთი მოკვამაგირე წელიწადში, გარდა ამისა ქედზე კაცი ვაჭდებულ იყო წელიწადში ერთხელ მოსმარებოდა მღვდელს სამუშაოდ და თითოეულს კომლს წელიწადში ერთხელ უნდა დაეპატივნა იგივე მღვდელი. შემოდ ნახევრებს ქეოდალურ სისხლის სამართალს ცხადად ეტყობოდა ერთი მიმართულება, სასულდობრ ისა, რომ ეკლესია ქეკრებელ ჯარიმას თავის სასარგებლოდ ხმარობდა; სამართალი ემოხრებოდა ფისვადურ იინანსიურ მიზანს. იურიდიკული მხრივ ეს მიმართულება გვიჩვენებს, რომ ეკლესიის შესვლულობით, დანაშაულობას აქვს სამოქალაქო გერძო ხასიათი, იგი შეადგენს საზღვს გერძო პირისას და არა სასოგადოვნებას.—როგორც საერო სამართალი, ისე საეკლესიო ამტკიცებს შემოდ ნახევრებს სასოგადო კანონს.

ეპარქია კიდევ არაიერი, თუ რა შორს უწევდა ქეოდალობა, სხანს იქიდგან, რომ ცალკე პატარა სოიულსაც კი თავისი საგუოარი უფლება და კანონი ჰქონდა. სოიული აგურა (იქვე, გვ. 71—73) გვიჩვენებს ამის მატალითს—ეს სოიული ეგუოაროდა მოურავს და მონასტერს, შეადგენდა თავისი ორგანიზაციით პრეზინს საიფლობელოს, სადაც სამართალი, შმართველობა, კეთილწესიერება და სხ. გასაკუთრებული იყო. უმეტეს ნაწილად საეკლესიო სოიულები განთავისუფლებულნი იყვნენ ყოველ გვარ სახელმწიფო საჩვიდგან; იშვიათად ახდიდნენ ფართის და სამხედრო ხარჯს. ეს იყო მათი მოკვლეობა სა-

ხელმწიფოსადმი. რაც შეეხება დანაშტის, სოფელი ეკლესიის საკუთრებას შეადგენდა, მმართველობა, ადმინისტრაციული განწყობილება სასულიერო ტერიტორიის ხელთ იყო. ეპისკოპოსი ნიშნავდა მამასახლისს საეკლესიო სოფელში. მკითხველი ნუ ითუქრებს რომ საეკლესიო გლეხ-კაცობა კეთილ-დღეობაში იმყოფებოდა. შემო ნახვენები წილკანის ეპარქიის მაგალითი გვიჩვენებს, რომ სასულიერო წოდება ანგარებას არ იყო მოშორებული და ერთგულებით ემსახურებოდა თავის ჯიბეს. არა ერთისა და ორის მაგალითის ჩვენება შეიძლება ამ ანგარების დასამტკიცებლად. შეწუხებული გლეხ-კაცობა მიმართავდა ხოლმე მეფეს საჩივრით და მეფე სასურველად მხოლოდ ამ სიტყვებს ეუბნებოდა: „საქართველოში არადღეს არა ვის გაუგონია, რომ ვინმემ თავიდან აიშოროს საეკლესიო ხარჯის მიტემა“ (ერეკლე მეორეს პასუხი ურბნისელებისადმი): გლეხ-კაცობაც ითმენდა. — სრული მორჩილება დაბალი პირისა მადლასადმი, დიდ-პატარაობა წოდებრივი და პიროვნული ტერიტორიული განწყობილობის აუცილებელი შედეგი იყო. ამ პრინციპზედ აშედა ჩვენი სისხლის სამართალი, რომელიც (სამართალი) აშკარად გვიჩვენებს — თუ რა დიდი განსხვავება იყო გლეხს და თავადის შორის. ამ განსხვავებას შემდეგი გოპნია და ღაზათიანი ფორმულით გვინატავს ჩვენი წარჩინებული გეოგრაფი: რამეთუ სისხლნიცა ეგრეთ სდიოდათ ჩინებისა მათისა მიერ, შეიდამ ქვეით ნასკვრად ანუ ქვეიდან შევით ერთი ორად“ (კახუშტი, გვ. 14.). ამ სამართალს ღირსეული სასჯელიც თან მოსდევდათ, სასჯელიც ტერიტორიულად იყო განწყობილი, კანონიც მაღალ წოდებას ესარჩილებოდა. შემდეგს წერილში ჩვენ ვრცლად განვიხილავთ სისხლის სამართალს და ვუჩვენებთ მკითხველს — თუ რა მიმართულებისა არიან ვანტანგის კანონები; აქ მარტო სასჯელის ფორ-

მუღას მოკიეყანთ: «ხოლო უკეთუ უმაღლესმან მოკლის უმცირესი დაუურვის სისხლი, ხოლო უმაღლესმან თუ მოკლის უმაღლესი, დაუურვის სისხლი და განიძის მამულისაგან რაოდენსამე წელსა“ (კახუშტი, გვ. 16). —

ნიკო ხიზანოვი.

(გაგრძელება იქნება)



ნეტამც რად ვარ შეუწყველტივ ასრე მწარედ აღრეული,
ასრე მწარედ რათ მიკვნესის სამარის სმით მგრძნობი გული?
რად შემდგრევა სშირად თვალთ, ცრემლთა ღვრას არ დასკეული,
მიდუღს ტვინი, მისქეფს გრძნობა, წამებისგან ქვად ქცეული?...
რას შექადის, რას მასწავის წინაღ გრძნობა ეს წყეული?

ნუ თუ მძაფრი გულის თქმასა იქმნეს მტრისგან დაძეული?!...

მაცრამ რაა! რისგან არის, რომ ეს სეკდა აღვსნეული,

როს გისახავ კაცთა შეებაჲ, შეიქნება გაზნეული?

მითხარ ტურფავ, სისხლით ზრდილო, რად შემსკვალე კაცთა გული,
თუ კი შენამდის სავალს გზას არ ექნება დასასრული?

ნუ თუ სისხლი, ცრემლი, გლოვა, შენთვის ქეუენად დაბრქეული
უნდა იყვეს ღაღადისი, უდანაოში განწეული?!...

თუ ასრეა, დასცხერ გულო, ნუ აჭევები წუთის თქმასა,
ნუ აჭევები სიზმრისაგან გატაცებულს ოცნებასა:

ვითა უნდა მოითმინოს, მან ვინც ბნელსა დაუბურია,
ვისიც ძალა და სიმართლე მძლავრის ხელსა აღუფხვრია!

ვითა უნდა დაიდუმოს, ვის ზურის წილ ქვას აწვდიან,

ვინ შიმშილით შვილს ხორცს აგლეჯს, ვის მხეცადაც არ ჭსადიან?!

ს. ფ.

8 მკათათვეს 1877 წ.

მსიკადი რაიმი ჩვენი მამულის-შვილობაზე.

(წერილი რედაქტორთან).

უკანასკნელ დროს ზოგიერთი ჩვენი მწერლების მიმართულებას განიკვება, მათ შიშობათულებას დიად თვალ-საჩინო ფერი დაედო. სშირად, ფრად სშირად მოისძის კრთი და იგივე ხმა, ერთი და იგივე ქადაგება. ჰირველ შეხედვით კიდევ იფიქრებთ, რომ ქართულის სუღმა და გუღმა, მის გონებას და გრძნობას ვითომც ჰხოვეს «ცხოვრების წყარო», სადაც ჩვენი ეროვნობა იჩრდება და ქალ-ღონით იმოსება ბწყინვალე მომავალ-სათვის. ეს «ცხოვრების წყარო» არის საზოგადოებრივი აზრის მიდრეკილება, რომელსაც «მამულის შვილობა» ეწოდების. ყველაზედ წინათ საჭიროა შევნიშნოთ, რომ რა ცალმხრივი შინაარსისა და ფორმისაც უნდა ივეს ჩვენი აწინდელი «მამულის-შვილობა», მანც იგი განიჩიერი და ბუნებათი შვილია ახალის ჩვენც ცხოვრებისა მე მოგახსენებთ იმ ცხოვრებაზე, რომელიც დაიწყო შემდეგ ჩვენი დამოუკიდებლობის დაკარგვისა. ჩვენ სრულიად არ ვამბობთ, რომ თავისუფალი საქართველო მოკლებული იყო «მამულის - შვილობას». არა, მამულის შვილობა მაშინაც იყო და დაშორებით უკეთესი, კიდრემდისინ აწინდელ საქართველოში. ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ აწინდელი «მამულის-შვილობა» ახალი მოკლენაა, ახალი ლიტერატურული მიმართულება, რომელსაც თავის არსებობის საბუთი აქვს. ბევრად, თუმცა სრულიად კი არა, ამ არსებობის საბუთი უნდა მოიძებნოს

საქართველოს აწინდელ მდგომარეობაში. თუ არ ვსტდებით, 60 წ. წ. «მამულის-შვილობა» ამჟამად დაიწყო „ობოლი სულის“, დანაგრედი გულის დამატებობელი ლუღუნი; აწ ეს ლუღუნი გაცდაიქცა ძლიერ ხმად, ძალუმი ჭორბოვლად. ასლთ მომავალში, თუ გარემოებათა მიმდინარეობამ ხელი შეუწყო, შესაძლოა არს ეს სხვა რამეთაც შეიქმნეს. სუ იფიქრებთ, ვაითამც ჩვენის მსრით ეს ცალკერი ოცნებაა, ფანტაზიის ნაყოფი. არა. ჩვენი აზრი დამყარებულია ისტორიულ კანონზე და თვით აზრის დასამტკიცებლად მრავალნი ფაქტნი და მაგალითნი მოიხატებთან. ამიტომაც დიდად საყურადღებოა ჩვენი «მამულის-შვილობა».

ჩვენ ვითქვით: «თუ გარემოებათა მიმდინარეობამ ხელი შეუწყო...» მაშასადამე, ბედის-წიკა «მამულის-შვილობისა» იმაზე არის დაფუძნებული — თუ რა ნაიჭი გარემოებებით იქნება იგი მოცული, შემოფარგლული. ზოგიერთი ამ გარემოებათაანი ჩვენსედ არ არის დამოკიდებული. «მამულის შვილობას» ებრძვის გარკვეანი ძალა; ეს უკანასკნელი ბევრად აბრკოლებს მის ორღანოულ ზრდას, კანონიერ და ბუნებრივ განვითარებას. გარკვეანი ძალა «მამულის შვილობას» ჩაგრავს, დედის-ნაცვალივით შეუბრკოლებლად თავში უჩაგრებს მას. რისთვის? მისთვის, რომ «მამულის-შვილობა» მის კანონიერებას, უფლებას, ეწინააღმდეგება.

უკეთესი ველი, უმაგრესი ადგილი, რასაკვირველია, ვერ ისევ ზოლოტიუერ ძაჯან ეკუთვნის. ჩვენის აზრით, ამ ურთიერთ შორის ბრძოლაში უნდა მოიძებნოს, სხვათა შორის, იმის მიზანი, რომ ჩვენ «მამულის-შვილობას» ეტყობა ცალმხრივი მიმართულება, იქმნება კადეც შირ-დაზირი გზას ატილებაც

და ბეკრჯვერ ხომ უსარგებლო და მავნებელი გაზვიადება იმ დედა-აზრისა, რომელიც „მამულის-შვილობის“ სუფადა და ხორცად არას აღვიარებულნი. მეორეს მხრით, წინააღმდეგობა არ ექნება შვენიშნოთ, რომ სსსს-ბრძოლი ბრძოლა იქნება უსხავს მამულის-შვილობისა... ხშირად ვხედავთ, რომ რომელიმე მთავარი აზრის, მიმართულების დევნა, მასთან ბრძოლა არათუ სთარგუნავს, არამედ აძლიერებს მას. თუმცა ბეკრჯვერ, ჭეიხის სიტყვებისა არ იყოს, სხვათა ჭეშმარიტება ითქმის, იქვეა კაცის გოჯგოთა, მაგრამ თვით აზრის გოჯგოთა ადვილად მისასხარებელი არ არის. ეს კი არის, რომ ბრძოლა აზრთან, მიმართულებასთან აძლიერებს ამ უკანასკნელს ცალმხრივს და უკიდურეს მიდრეკილებას, მოძრაობას და ცალმხრივი, უკიდურესი საზოგადო აზრის მიდრეკილება ხომ ხანდისან სასარგებლო და ნაყოფიერია. ცალმხრივი მიმართულება ბეკრჯვერ დიდს „თანაქცდილებასა შერეოს საზოგადოებას, უნებლიედ იზიდავს სულს და გულს ამ უკანასკნელისა. ამისთვისაც თვით ჩვენი მამულის-შვილობის“ უკიდურეს მიმართულებაში, სხვათა-შორის, უნდა მოიქნოს მისი ძალა, სედა მოქმედება საზოგადოებაზედ.

უკიდურესი მიმართულება მამულის-შვილობისა, როგორც უკვე ვუხსენებთ, აიხსნება, სხვათა-შორის, მით, რომ მას ებრძლება გარკვევანი ძალა; რამოდენად ეს უკანასკნელი სდევნის პირველს, ე. ი. „მამულის-შვილობის“, იმოდენად „მამულის-შვილობის“ უფრო-და-უფრო მისდევს თავის დედა-აზრის გაზვიადებას. რა არის თვით ეს დედა-აზრი, რამოდენად ჭეშმარიტია იგი? ეს დედა-აზრი აი ესრედ იხატება: ყოველ ისტორიულს და კულტურულს ერს — — ბუნებრივი უფლება აქვს თავისუფალი დამოუკიდებელი არსებობისა, ისტორიული და ეროვნული სახის პირის და:

ცვისა... ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ამ დედა აზრის დასარღვევლად ანცე ერთი მტერი გაცობრიობისა და ცალკე ხალხის წარმატებისა ვერ წარმოადგენს არა. რაიმე შესაწყნარებელ საბუთსა, გარნა რომელიმე ზოლიტიკურთ მოსასრებისა და ეს უგანასგელი ხომ შეცხიერებახედ არ არის დამყარებული, მას ხომ დროებითი მხამხეჯობა აქვს როგორც ვხედავთ, დედა-აზრი „მამულის შვილობისა“ უოვლად ცნობ. ღი ჭეშმარიტებას ესრედ წოდებული ისტორიული სგოლისა (ხუცრეთვე, აწინდელი სოციალოგიისა) და მის, დედა-აზრის, წინააღმდეგ ჩვენ გერაიერს ვიტყვით.— უნთავგრესი შეცდომას დიდინჯული მამულის-შვილობისა უნდა მოიძებნოს დედა-აზრის გაზვიადებაში. ფოლიკური და მიუცილეუბელი დასკვნა ამ გაზვიადებული დედა-აზრისა კიდევ ის არის, რომ „მამულის-შვილობა“ მტად დიდს მნიშვნელობას აწერს ჩვენი ცხოვრების წარსულს, ამ წარსულში ჭბოვებს ჩვენი ეროვნული არსებობის საბუთს. ეს უვიდურესობა „მამულის-შვილობისა“ ცოტა არ აუვებს რომ ეწინააღმდეგება თავით ისტორიული სგოლის სოციურთა შრინცებებს და კიდრქმდისინ ჩვენ ამას მგითხველს ვუზგანებდით. შეგნაშნავთ, რომ დამყავებული „მამულის-შვილობა“ დროებითი მოვლენას, მიუცილეუბელი შედეგი აწინდელი ჩვენი გონებითი მოძრაობისა, ჩვენი მდგომარეობისა. ამ შეცდომას შალე უნდა მოღოს მოვლენა და კიდევ მოკლება, როდესაც ჩვენში შეიტყუაბენ, ერთის მხრით, საგლს ისტორიული სგოლისას, მეორეს— მის სამდვილ საფუძვლებს და როდესაც თავით მდგომარეობაც შეიცვლება. — წარსულ საუკუნეს ერთი და იგივე მიმართულება სუფუდა ისტორიულ და საზოგადოდ სოციალურ მკვნიერებაშია — რაციონალიზმი, რასაც ბძანება გონება, ის უნდა მოკლებულ ყოფილიყო უოვლად ბძანებულ ჭეშმარიტებათ თავით რაციონალიზ-

ზოი შედეგი იყო წრეს იქით გადასული დოღმატიური მიმართულებიანა. ერთს და მეორესაც ეტყობა დიდი „ნახტომი“, ცალმხრივი შამართულება. რაციონალიზმის კანონიერი შვილი იყო ისტორიული სკოლა, რომელიც იწეობა ისევე წარსულ საუკუნეში (ფილოლოგი ჭკინე, გერდერ და სხ.). შეტადრე გერმანიაში «დაამუშავეს», გააზრდეს ისტორიული სკოლის მნიშვნელობა. ამ მოვლენის უმთავრეს მასკსად უნდა ჩაითვალოს საფრანგეთის დიდი აკადემიის ვითომც მცდლობა — უმანკობა სისხლის დაღვრა და ჩვენ ცოდვილთა ცხოვრების განწყობა რაღაც ალურად. ისტორიული სკოლა შეუდგა რაციონალიზმის საფუძვლების კრიტიკულად განხილვას და გამოიკვლია მიუცილებელი კანონი, რომელიც ამტკიცებს ხალხის ცხოვრების ხარისხულად გასვითარებას, ზრდას (исторический ростъ, генезисъ развитія). სკოლამ საქმე დაიწყო შორეული წარსულიდან და იქ ჩასდგა მკვიდრი საძირკველი ეროვნობისა, ხალხისობისა. კარგი და ზატოხანნი, მაგრამ მუდმივ წარსულისაკენ ცქერამ, წარსულის ასპარეზზედ მოღვაწეობამ მკვდარი სსეულის, მძევრის ფერი და სუნი დასდო ისტორიულ სკოლას. თუ რა უაღბი დასკვნა გამოდის ამ სკოლის სწავლიდგან, სხანს სდავიანოფილეუსზე დედა-აზრი სდავიანოფილეებისა, — თქვენც დამტანსმებით ამაზე, — ისტორიული სკოლის ჭეშმარიტებაა. შეცდობა ამ დედა-აზრის გაზრდილებაში უნდა მოიძებნოს.

როგორც ვსთქვით, დედა-აზრი „მამულის-შვილობისა“ ამოღებულა ისტორიული სკოლის სწავლიდგან. შეცდობა წარმოსდგება, ერთის მხრით, თვით ისტორიული სკოლის უკადრესი მიმართულებიდან და მეორეს — ამ სკოლის ჭეშმარიტი საფუძვლების გაუგებრობიდან. ჩვენ „მამულის შვილობისა“ რომ შეგნებშილი ჭკონდეს კარგი და ცუდი ისტორიული სკოლისა,

მაშინ ხომ საჭიროად არ ჩათვლიდა ამ გულ-მხერგაზე გლო-
ვას, გაუთავებელ წრბისს ვა ანა, თვით იერქმის ტირილს და
გოდვას ჩვენ წარსულსე... და რა ანის თვით წარსული ხალ-
ხისა? რა გავშირი აქვს მას ხალხის წარმატებასთან? წარსული
ხალხისა ანის რამოდენიმე საფეხური ისტორიული შრდისა
(პოეტს) და ანა უკანასკნელი ნაბიჯი, დასასრული ცხოვრების
წარმატებისა. ამისთვისაც არ შეიძლება წარსული აღიარებულ იქ-
მნას ცხოვრების დასაბამად და დასაწყისად. რადგანაც ეს წინა-
აღმდეგი იქნება როგორც საზოგადო წარმატების განონისა,
ისე ისტორიული სკოლის უშირველეს შინაგონისა, რომელიც
ითხზავს და უჩვენებს ხალხის ცხოვრების სარისხს უად, ორლა-
ნიულად განვითარებას. წრბინი წარსულსე აღვინას ლუღუსს
ბედნიერ მომავალსე. და ეს უკანასკნელი (ბუღნიერა, მომავალი)
უნდა იყოს შინანი ხალხისათვის მოღვაწე შინთა. ამისთვისაც
საჭიროა წინ ჩქერა და ანა უკან ხედვა, გოდვა და ტირილი
გი ანა წარსულსე, მხიარული სიბუჯრა კეთილს მომავალსე.
ვინ არ იტყვის, რომ წარსულში ბევრი ვაჭვია, ვან არ იტყოს,
რომ „მამულის-შვილობა“ ჭვიქროსს მომავალსე მაგრამ შეც-
დომა იმაშია, რომ ჩვენს „მამულის-შვილობა“ მეტად დილს
მნიშვნელობას აძლევს წარსულს და ივიწყებს ხალხის
წარმატების კანონს. თუ აწმყო შავით და ბნელთ მოცუ ვია, ეს
კიდევ იმას კი არ ამოკითვებს, რომ წარსული ელვარება წმინდა
ნათელით; თუ კიდევ აწმყო ქვევად სდვას წარსულსე, აქედან
ის დასკვნა არ გამოდის, რომ წარსული უნდა შეადგენდეს ჩვენს
„წმინდა-წმინდათსა“. — „მამულის-შვილობის“ შესჯედულობით,
ეროვნობას ვითომც ერთათ-ერთი ანსებობის საფუძველი მოე-
პოკების, — წარსული ხალხისა. აქ ანის უმთავრესი მიხეტი იმ
მოკლეებისა, რომ იგი ასე განუწყვეტლივ დასტირის წარსულს.

მაგრამ განა ეს აზრი რამდენად-შეიღობისა? ჭეშმარიტია? ეკონომიკის არსებობის საბუთი ვაგმა უნდა ეძიოს აწინდელ სოციალურ სწავლაში და არა მარტო ისტორიულ სკოლაში, რომელიც ხალხის წარსულს მეტად დიდ მნიშვნელობას აწიქს. სოციალური ვიდევ იმას ზძანებს, რომ ყოველს ერს, ვითარცა კაცობრიობეს უდიდესი რჯანის ქვეყნითი ჰიქს (КОЛЛЕКТИВНОЕ АНЦО), ისეთივე ქვეყნული საბუთი აქვს არსებობისა, როგორც კერძო ფიზიკურ ჰიქს. თვით წარმატება კაცობრიობისა შესაძლო არს მხოლოდ მაშინ, როდესაც ნახევრები სოციალური ჭეშმარიტება აღიარებულ და განხორციელებულ იქმნება ცხოვრებაში. წარსული ხალხისა, როგორც ვითომც ჰიქველი და უკანასკნელი საბუთი ისტორიული ერის არსებობისა, აქ არაფერს შუქმის; და ეს იმიტომ, სხვათა-შორის, რომ ერეონობა არ არის მარტო ისტორიული ცნება. ეს ცნება შესდგება მრავალი ელემენტებისგან, რომელთა შორის ისტორიულ ელემენტს არ უჭირავს უზიქველესი ადგილი. ბევრჯერ წარსული რომელიმე ხალხისა ასე უფერული და მავნებელია, რომ ძრეელ კარგი იქნებოდა, იგი სრულებით აღმოაღებრილიყო ისტორიული ფურცლიდან და არა აღიარებულ ქმნილიყო ხალხის არსებობის საბუთად. და ან ასეც რომ არ იყვს, განა რომელიმე ხალხს (აგილოთ აფრიკის სოგიერთა ველურნი ხალხნი, ტომნი) არ უნდა ჭქოდეს არსებობის უქვება, თემცა იგი მოკლებულია არა თუ დიქებულს წარსულს, არამედ ცაღიერ ისტორიულ წარსულსაც? რა ბაში-ბუზუყობაა, რა ახალი ყაღობის ბარბაროსობაა! ამისთვისაც ხშირად ვხედავთ, რომ «წარსულის» თეორიის მღაღაღებელი ამართლებენ ჰიქლიტიკურ ბაში-ბუზუყობას შიო, რომ ერთი ხალხის წარსული (და, რასაკვირველია, აწმყოც) ბევრად მაღლა სდვას მეორე ხალხის წარსულზე და

აწმეაზე; მასასადაჟე, ზირველ ხალხს უნდა ემორჩილებოდეს მეორე... და თუ მარტო წარსულსედ დააფუძნებთ ერთკონობის არსებობის საბუთს, ამ საირი ზოლიტიკური ბაჟი-ბუსუეობა მიუცილეჟელი მოკლეჟნა იქნება. თვით რომაელები და ძველი ბერძნების შესედულობა და სახელმწიფო სწავლა „ბარბაროსა“ ხალხის წარსულის» თეორიასე იყო აშენებულა.

„მამულის-შვილობა“ ანათე გრძნობს და სედაჟს თავის შეცდომას, არამედ იგი უგუნურსაც უწოდებს ეველას, რომელიც წარსულს მუხლ-მოდრეკით და მოწიწებით გუნდრუჟს არ უჟმეჟს. „უგუნური“), თავსედ-ხელ აღებულნი ზუბლიცის ტები და მჟღაბნელები, რომელიც, ჩვენდა სამარცსკი-ხოდ და სავგუჯახოდ, ასე მრავლდეიან ჩვენში, არ ზოგვენ არაფერს, რომ შემუსრონ წარსულის სახელი და სასესესეული, ზატვი აჯეარონ მას, რაშიაც წმინდად დაცულა ყოველივე ჩენი დირსება და დიდება, რაშიაც ხელ-შეუხებლივ შენახულა დღევანდლამდე ჩვენი წმინდა-წმინდათა და რაც ჩვენ სახეს, ჩვენ კროგნებს, ჩვენს საბუთს არსებობისას შეადგენს“ („ივერია“ 1882 წ. № 10, გვ. 126, გრ. ყიჟშიძის „საისტორიო სკოლა და საისტორიო საზოგადოება“). მართლაც რომ დიდი უგუნურებაა, როდესაც ეცნე უარჟეოჟს წარსულს განურჩეველად იმას — როგორი იყო წარსულის შინაარსი და რამოდენად იგი წარსული სასარკებლო იყო ხაღხას და საზოგადოდ კაცობრიობის წარმატებისათვის; სწორედ დიდი შეცდომა იქნება, როდესაც წარსულს არ სწავლობს, მას თვალურს არ ადევნებს ის, რომე-

(* ჩვენში ზომ ეველას ლესინგი ჰგონია თავის-თავი, ვინც კი ერთი-ორი ვითომც კრიტიკული „კინტოური“ სტატია დაბლაჟნა. ოხ, ჩვენო უმეცრების ამყობაჟ!...

ლიც იღვწის აწმყო და მომავლისათვის, მაგრამ არა ნაკლებ შეცდომა იქნება (პატივცემულს ავტორს არ ვეტყვით უგუნურება) იმის შესახებ, რომელიც ჩვენი არსებობის საბუთს, „ჩვენ ერკვნობას“, „ჩვენ წმინდა-წმინდათას“ ეძებს მარტო წარსულში...

ჩვენი „მამულის-შვილობის“ თეორიული შეცდომას ისე დიდი ენება და ზარალი არ მოაქვს, როგორც ამ მიმართულების რაკეტულ მხარეს. „მამულის შვილობა“ მთელის თავის შინაარსით დამყარებული რადია მეცნიერებასე, მას არც ერთი წარმომადგენელი არა ჭყავს ისეთი, რომელიც ისტორიული მეცნიერების ასპარეზზე იღვწოდეს და აქ ეძებდეს საფუძვლებს „მამულის შვილობისას“. რუსეთში, მაგ., სლავიანოფილებმა თავი ისტორიულ მეცნიერებას დიდი ღვაწლი დასდგეს, მას დიდი სამსახური გაუწიეს. ზოგიერთ მათგანმა ისე ღრმად და დაჯაგებით გამოიკვლიეს ჰირველ დაწყებითი იურიდიკული მდგომარეობა თავიანთ მამულისა, სამშობლოსი (მაგ., ძველი რუსების демократическая община), რომ მოწინააღმდეგე ისტორიულ სკოლას მათი ნაწარმოები საპატიოსნოდ შრომად მიანნია, დაღს შიშვენელობას აწერს ამ შრომას. სლავიანოფილებმა ჯერ ქრისწავლეს რუსეთის წარსული, ქრისწავლეს ჯეროვანად და მერე შეუდგნენ წარსულის გუნდრუვის კმეკას. ჩვენში კი სრულიად წინააღმდეგ მოკლენას შეხვდებით. აქ „მამულის შვილობა“ მოკლებულია მეცნიერების ნიადაგს და მთლად აშენებული უმანკო ცრემლის ღვრასედ. და რადესაც არა „მამულის-შვილობის“ ბანაის კაცი აკვირდება და კითხულობს ჩვენი მამულის-შვილების ნაწარმოებს, მას მხოლოდ ერთი და იგივე სურათი ეხატება—მდიდრულად მოართული საქართველეს გუბო, რომელსაც ვაჩუმო შემოსდომიან ნაქირავი მომტირელები, —

ხელების ცემით თავს იღაყებენ, თმას იწეწევენ და გულ-დაკო-
დილნი გასასხიან: ვაი შენ დამკარგავს, ჩვენო ყოვლად ბრწყინ-
ვალყო წარსულო...“ აქ გოდვა და ჩვენა „ჭირის-უფულების“
მთქმა მხალღად გრძნობის საქმეა და არა სსვა რისიმე. და
გრძნობა ხომ მეტად უშილის ისტორიული საგნების გამგველ-
ვას, მათ გაგებას. გადაივითხეთ მაგალითათ „იკერიის“ აფიცია-
ლური მღვდლის დიმიტრი ჯანაშვილის „ისტორიული კარნი-
კატორები“, შეტდომით სახელ-წოდებულნი „ისტორიულ სუ-
რათებათ“, და ცხადად დინასავთ, თუ რა საოცარ სისულელესთან
მიიყვანს გაცს მამულის-შვილობითი გრძნობა. გრძნობამ ისე
გამსჭვალა პატიოსანი მამა დიმიტრი, რომ მან ისიც ვერ გაი-
გო, რომ „ქართლის ცხოვრება“ უბრალო მატყანავა და ამ მატყანავს
ჯერ ვინ იცის როდის ეღივრება თავის ნიბურნი... უ.
ჯანაშვილს რომ თავი დავანებოთ და დავასახლოთ უკრო სა-
დი ტვინის მწერალი—იაკობ სვიმონიძე,—მაშინ უფრო აშკა-
რად გავიგებთ — თუ რა შიკრი სტემს მამულის შვილობითი
გრძნობა... გადაიფრცლეთ — „რანი ვიყავთ გუშინ?“ — ეს გვირ-
გვინი მამულის-შვილობითი ნაწარმოებისა, — გადაივითხეთ იგი.
რამდენჯერმე და გაცდებით — თუ რა დაუშავა იაკობ სვიმონი-
ძეს საწყალმა და მრავალ ტანჯულმა საქართველომ, რომ იგი
სვიმონიძე ასე უწყალოდ და დაუნდობლად სტანჯავს და ამხინ-
ჯებს ჩვენი მამულის მკვლარ სსეულს... სვიმონიძეს რომ ჭკით-
ხე, წარსულ საუკუნის საქართველოში რესუბლიკლთ დასიც-
კი მოიპოვედა. სამწუხაროდ პუბლიცისტი არ მოგვითხრობს.
— მარტო უფრო ბევრი მომსრეები ჭყვანდა ჩვენში თუ რა-
ბესპიერს... მამულის-შვილისათვის თრიად საჭიროა იცოდეს —
რა ფერის რესუბლიკანური იყო დაცულ-ბარათაშვილი, რომელ-
სედაც გვაუწეებს პ. იოსელიანის...“ ანა ახლა თვალი გადაავლეთ

უფრო ვატარა მამულის - შვილებს . უურები დაგეჭვდებით მათი წრებინითა ჩვენი წარსულისადმი სიყვარულით უნდა განი-
მისჯვალავო, ჩვენი დიდება წარსულში არის... მამულის მო-
დალატე შეიქმნები, თუ მართლა საქართველოს გუბოს გვერ-
დით არ მოუწყეტი და თავი არ გამოიღაყო მუშტის ცემით.

„მამულის-შვილობას“, ჩვენი აზრით, მხოლოდ ერთი შე-
საწყინარებელი საბუთი აქვს ისტორიული ფაქტების დამახინჯე-
ბისა, სახელდობრ ისა, რომ იგი „მამულის-შვილობას“ სტდი-
ლობს აღზარდოს მეოთხეულებში სიყვარული ჩვენი ერისადმი,
მისი წარსულისადმი. სხვა საბუთი მას არ მოეპოვება. მაგრამ
განა შესაძლებელი საქმეა საღი გრძნობის, ჭეშმარიტი სიყვარ-
ულის აღზდა დამახინჯების გზით? და ან ვისთვის არის სა-
სარგებლო ამ ნაირი პედაგოგიური ვარჯიშობა „მამულის-შვი-
